კვირეული ბეჭდავს, „ვერსია" ელავს

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№58 (953) 4 - 5 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რა შემთხვევაში შეუძლია სინოდს უწმინდესის გადაყენება და ვინ იბრძვის პატრიარქობისთვის

გვ. 5

ბარამიძის ევრობაირამობა

საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით გახარჯული საბიუჯეტო თანხები ევროპისა და ამერიკის სასტუმროებში, ბრიუსელის სპა-მასაჟის სალონებსა და ღამის ბარებში

2012 წლის 10 მაისს, სახელმწიფო მინისტრის ბელგიაში მივლინებისას, ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში, ქალაქ ბრიუსელში, ბლანკესტრაატის ქ. №14-ში მდებარე მასაჟის დაწესებულება INTERDIT-ში გახარჯული 1 300 ლარი და 600 ლარი ფიგურირებს. იგივე დაწესებულებაში, 2011 წლის 25 ნოემბერს, სახელმწიფო მინისტრის მიერ სამივლინებო თანხებიდან გახარჯულია 200 ლარი და 300 ლარი. სახელმწიფო მინისტრის უკრაინის დედაქალაქ კიევში მივლინებისას, 2012 წლის 4 თებერვალს, ღამის ბარ just cafe-ში 1 900 ლარია გადახდილი, მათ შორის, ქვითრის მიხედვით, 4 გოგონას შეყვანისა და 9 ცალი წითელი ვარდის ღირებულება!

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

„ვერსიის" ექსკლუზივი

„გალის შეხვედრები და ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია უნდა აღდგეს“

საქართველოში ვიზიტით მყოფი შვეიცარიის პრეზიდენტი დიდიე ბუკჰალტერი ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის მუშაობას გაეცნო. **„სამი მიზეზის გამო ვიმყოფები დღეს აქ. მსურს, საკუთარი თვალით ვნახო, რა ხდება. გარდა ამისა, შვეიცარია მხარს უჭერს აქტივობებს, რაც ჩემი აზრით, ძალიან პრაგმატული ქმდებებია. ეს ხდება მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სამწუხაროა, რომ გამყოფმა ზოლმა ნაკვეთები შუაზე გახლიჩა, დააშორა მეზობლები და ოჯახის წევრები. გამყოფი ზოლის გასწვრივ მყოფი ადამიანები, რომლებიც ადრე ერთად ცხოვრობდნენ, ყოველდღიურად სირთულეს აწყდებიან. ჩემი გზავნილია, რომ უნდა განაგრძოთ მუშაობა. ჩვენთვის პრიორიტეტულია, აღდგეს გალის შეხვედრები და ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია“,** — განაცხადა ბუკჰალტერმა.

გიორგი მარგველაშვილისა და დიდიე ბუკჰალტერის პირისპირ შეხვედრის შემდეგ, შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობით გაგრძელდა. მხარეებმა ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე გაამახვილეს ყურადღება. დიდიე ბუკჰალტერმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ქვეყნის პირველ პირს ცხინვალის რეგიონში კერძოდ, ერგნეთში, ე.წ. გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ. ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტის თქმით, საჭიროა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადამიანებმა ერთმანეთთან კონტაქტი შეინარჩუნონ და მხოლოდ ამგვარად დაადგნენ კონფლიქტის დაძლევისა და შერიგების გზას. თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა დიდიე ბუკჰალტერს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების თვალსაზრისით ამჟამად არსებული მძიმე ვითარება გააცნო და ინფორმაცია რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების გავლების, ადგილობრივი მოსახლეობის გატაცების და უკანონო დაკავებების ფაქტების შესახებ მიაწოდა. მარგველაშვილის თქმით, ეს არის საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა. გიორგი მარგველაშვილმა შვეიცარიელ კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის და ხაზგასმით აღნიშნა შვეიცარიის, როგორც მედიატორის როლი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხში.

მხარეებმა ასევე, ორი ქვეყნის თანამშრომლობის დეტალები განიხილეს და განაცხადეს, რომ ურთიერთობა უნდა გაღრმავდეს როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე კულტურული მიმართულებით.

ქართული მხრიდან შეხვედრას ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ივანე მაჭავარიანი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე, პარლამენტის უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია და შვეიცარიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირაკლი ყურაშვილი ესწრებოდნენ.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შვეიცარიელ კოლეგა დიდიე ბუკჰალტერს მადლობა გადაუხადა იმ როლისთვის, რომელიც შვეიცარიამ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთულეს ურთიერთობაში იკისრა.

შვეიცარიის პრეზიდენტს მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან. მხარეებმა საქართველო-შვეიცარიას შორის „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმებას“ მოაწერეს ხელი, რის შემდეგაც, ირაკლი ღარიბაშვილმა შვეიცარიის პრეზიდენტს სამუშაო სადილზე უმასპინძლა. ღარიბაშვილმა და ბუკჰალტერმა ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობასა და საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრეს. შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა იყო, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შვეიცარიის პრეზიდენტს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მედიატორის როლის შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტი საქართველოში სამხრეთ კავკასიური ტურნეს ფარგლებში ჩამოვიდა.

„ვერსიანიუსი“

განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე უგულავას ქვისლი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, მოქალაქე გიორგი ღონიაშვილი ზეგავლენით ვაჭრობისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზეა დაკავებული.

„2014 წლის 3 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ დაკავებულია მოქალაქე გიორგი ღონიაშვილი.

გამოძიებით ამ ეტაპზე დგინდება, რომ გიორგი ღონიაშვილისთვის ცნობილი იყო რა, რომ შპს „გუდაური სქაი რესორტის“ მფლობელს (ამ კომპანია ზე ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი) ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ჰქონდა კომპანია BROOKTRADE, შესთავაზა მას წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დახმარება, რა ზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. დახმარება გამოიხატებოდა იმაში, რომ დავით კეზერაშვილის ერთ-ერთი ოფშორული კომპანიიდან თანხები, ვითომდა საკონსულტაციო მომსახურების სანაცვლოდ, გადაირიცხებოდა კომპანია BROOKTRADE-ში, საიდანაც უკვე ასევე ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოირიცხებოდა საქართველოში, შემდგომში პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად.

შეთანხმებისამებრ, გადმორიცხული თანხების ნამდვილი დანიშნულების შენიღბვისა და მისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ოფშორულ ზონაში ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ დავით კეზერაშვილის კომპანიას EXIMUS HOLDING-სა და ოფშორულ კომპანია BROOKTRADE-ს შორის გაფორმდა ფიქტიური ხელშეკრულება, რომლითაც თითქოს ამ უკანასკნელს უნდა გაეწია საკონსულტაციო მომსახურება EXIMUS HOLDING-ისთვის კასპიის ზღვის ქვეყნებში ენერგომატარებლების ვაჭრობასთან დაკავშირებით.

ხსენებული ყალბი ხელშეკრულებით საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება განისაზღვრა ჯამში 1 500 000 აშშ დოლარით. აქვე აღსანიშნავია, რომ ოფშორული კომპანიის დირექტორია ალექსანდრე გოგოხია, რომელიც წარსულში შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას ხელმძღვანელობდა“.

სწორედ აღნიშნული ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე, ვითომდა საკონსულტაციო მომსახურების სანაცვლოდ, კომპანია EXIMUS HOLDING-დან კომპანია BROOKTRADE-ის ანგარიშზე გადაირიცხა საერთო ჯამში 760 000 აშშ დოლარი, რომელიც შემდგომში საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის გამოყენებით ჩამოირიცხა საქართველოში და კონვერტაციის შემდგომ გადასცეს გიორგი ღონიაშვილზე, პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. გადმორიცხული თანხიდან, მხოლოდ ერთჯერადად 2014 წლის 14 მაისს ღონიაშვილის მითითებით ხსენებული თანხის ნაწილი 85 000 აშშ დოლარი გადაირიცხა ქ. ლონდონში, თბილისის მერის ყოფილი მოადგილის დავით ალავიძის შვილის ანგარიშზე.

საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოვლენილი იქნა ხსენებული დანაშაულებრივი სქემა და მორიგი თანხის ჩამორიცხვისა და კონვერტაციის დასრულების შემდეგ, დაკავებულ იქნა გ. ღონიაშვილი, რომლისგანაც პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა 160 000 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარში.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ 2011 წლის 12 ივლისს ქ. თბილისის მერიასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კომპანიას სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცა თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებული 200 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. მასვე საპრივატიზაციო პირობად განესაზღვრა 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება 5 (ხუთი) წლის ვადაში. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს მიერ ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებები ვერ შესრულდა, თბილისის მერიამ შპს „გუდაური სქი რესორტს“ დააკისრა ჯარიმა პირგასამტეხლოს სახით 193 500 (ასოთხმოცდაცამეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით.

მას შემდეგ, რაც გიორგი ღონიაშვილმა შეიტყო აღნიშნული ფაქტის შესახებ, „გუდაური სქაი რეზორტის“ ერთ-ერთ მფლობელს შესთავაზა, რომ 50 000 ლარის სანაცვლოდ, მისი ქვისლის, თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას დახმარებით მერიას გააუქმებინებდა მის მიერვე გამოტანილ დადგენილებას საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სანარმოს 193 000 ათასი დოლარით დაჯარიმების შესახებ.

თბილისის მერის მოადგილის ირაკლი აბესაძის ხელმოწერილი თბილისის მთავრობის 2014 წლის 25 აპრილის დადგენილებით შპს „გუდაური სქაი რესორტი“ 193 000 ათასი დოლარის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან მართლაც განთავისუფლდა, რის სანაცვლოდაც, შეთანხმებისამებრ გ. ღონიაშვილმა კომპანიის ხელმძღვანელისგან აიღო შეპირებული თანხა 50 000 ლარის ოდენობით.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 339/1-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების 9-დან 12 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

აქვე საზოგადოებას გვინდა ვაცნობოთ, რომ გამოძიება ინტენსიურად გრძელდება ორგანზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-იდენტიფიცირების მიზნით“, — ავრცელებს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური განცხადებას.

გიორგი ღონიაშვილის დაკავების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის ოფისში საგანგებო ბრიფინგი გამართა გიგი უგულავამ. მან აღნიშნული ფაქტი ზენოლად შეაფასა და განაცხადა: **„ხელისუფლება დაგვპირდა ცხელ ზაფხულს და როგორც ჩანს, ამაში მსგავს ფაქტებს გულისხმობდა. მათი მიზანია ჩემი და ჩვენი პარტიის დისკრედიტაცია. გიორგი ღონიაშვილი არის ჩემი და მეგობარი, მაგრამ მას არანაირი კავშირი არ აქვს ნაციონალურ მოძრაობასთან. ეს ქმედებაც და ისიც, რაც ხდება დავით კეზერაშვილთან დაკავშირებით, არის წინასაარჩევნოდ ნაციონალური მოძრაობის დისკრედიტაცია“.**

„ქართულმა ოცნებამ“ მაისში 1 280 141 ლარი შემოწირულობა მიიღო

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა მაისში, ჯამურად 1 938 524 ლარის შემოწირულობა მიიღეს. პარტიების საქმიანობის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის, ზურაბ აზნაურაშვილის განმარტებით, ყველაზე მეტი შემოწირულობა კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ განხორციელდა.

მისივე განმარტებით, კოალიციამ ჯამში 1 280 141 ლარის შემოწირულობა მიიღო. ოფიციალური ინფორმაციით, 271 149 ლარის შემოწირულობა მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“; 279 468 ლარი — „ქრისტიან-დემოკრატებმა“; 50 635 ლარი „საქართველოს გზამ“; 1 190 ლარი „მერაბ კოსტავას საზოგადოებამ“; 13 258 ლარი არასაპარლამენტო ოპოზიციამ; 5 400 ლარი ხალხის პარტიამ, 16 867 ლარი ლეიბორისტულმა პარტიამ, 4 165 ლარი „მწვანეთა პარტიამ“, 16 200 ლარი „ქართულმა პატიამ“, 34 342 ლარი საინიციატივო ჯგუფებმა მიიღეს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ შემომწირველებს შორის რამდენიმე მმართველი გუნდის დეპუტატია. უფრო კონკრეტულად, ბიძინა გუჯაბიძეს, გიგა ბუკიას, ზვიად ძიძიგურს, რევაზ შავლოხაშვილს და პაატა კვიჟინაძეს კოალიციის სასარგებლოდ 30-30 ათასი ლარი აქვთ გადარიცხული. 200 ლარის შემოწირულობა აქვს განხორციელებული ვახტანგ ხმალაძეს, 150 ლარის ნოდარ ებანოიძეს, 100-100 ლარის კი ლევან ბერძენიშვილსა და მანანა კობახიძეს.

კოალიციის სასარგებლოდ 750-ლარიანი შემოწირულობა აქვს გაღებული თბილისის საკრებულოს დეპუტატ გულიკო ზუმბაძეს. მმართველი გუნდის შემომწირველებს შორის არის ასევე უმრავლესობის პრეს-სამსახურის წარმომადგენელი გრეტა წიწავა, რომელმაც კოალიციას 5 000 ლარი შესწირა.

„ინტერპრესნიუსი“

ქართული ღვინის ექსპორტი გაიზარდა

2014 წლის იანვარ-მაისის პერიოდში ღვინის ექსპორტმა მსოფლიოს 32 ქვეყანაში 22 779 153 ბოთლი (0,75 ლ) შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს 147%-ით აღემატება.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, წლის დასაწყისიდან მაისის მდგომარეობით, ექსპორტირებულია 73 795 849 აშშ დოლარის პროდუქცია, რაც 2013 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს 169%-ით აღემატება. მხოლოდ მაისში საქართველოდან ღვინის ექსპორტმა 3 814 034 ბოთლი შეადგინა.

ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული ასეთია: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ლატვია. რუსეთი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 68%-ით ლიდერობს. ექსპორტმა რუსეთში 2014 წლის იანვარ-მაისის მდგომარეობით 15 641 383 (0.75ლ) ბოთლი შეადგინა.

ექსპორტის მოცულობით შემდეგი ხუთეული ქვეყნებია: ჩინეთი, ლიტვა, ბელორუსი, ესტონეთი და აზერბაიჯანი. ამასთან, მაისში ექსპორტირებულია 446 654 (0,5ლ) ბოთლი ბრენდი, ხოლო სულ იანვარ-მაისში ბრენდის ექსპორტმა 4 829 384 ბოთლი შეადგინა. 5 თვის მდგომარეობით, ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა თანხაში 17 340 394 აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს 52%-ით აღემატება.

ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის უკრაინა ლიდერობს, სადაც მაისის მდგომარეობით ექსპორტირებულია 2 777 070 ბოთლი. მეორე ადგილზეა რუსეთი, სადაც წლის დასაწყისიდან მაისის ჩათვლით ექსპორტირებულია 1 770 846 ბოთლი ბრენდი.

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ბარამიძის ევრობაირამობა

საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით გახარჯული საბიუჯეტო თანხები ევროპისა და ამერიკის სასტუმროებში, ბრიუსელის სპა-მასაჟის სალონებსა და ღამის ბარებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

„ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2011-2012 წლებში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შემოწმება დაასრულა და მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის — გიორგი ბარამიძის ნატო-სა და ევროპისკენ სწრაფვის „შოკისმომგვრელი“ ფაქტები გამოავლინა.

27 ივლისს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და ნატო-ს სამიტის მომლოდინე საზოგადოებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, დეტალურად გაეცნოს, როგორ იმუშავა დღეს გულანთებულმა „მაშასადამე ევროპელმა“ და ნატო-სთვის თავგადაკლულმა მებრძოლმა, პარლამენტარმა გიორგი ბარამიძემ, საქართველოს ევროპასთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია რომ მომხდარიყო. როგორც ჩანს, საამისოდ ნაციონალური ხელისუფლების ყოფილი ჩინოვნიკებისთვის აუცილებელი წინაპირობა იყო ჯერ ევროპისა და აშშ-ს სპა-სალონებსა და გამაჯანსაღებელ ცენტრებში (კორექტულები რომ ვიყოთ) მასაჟი და რელაქსაცია, შემდეგ კიევის ღამის კლუბებში უკრაინელ გოგონებთან ინტეგრაცია, ოღონდ ოკუპირებული საქართველოდან დევნილებს რომ ვერ ეხმარება, იმ ბიუჯეტიდან ნაყიდი წითელი ვარდებით... საქართველო რომ ევროპულ ოჯახში გაწევრიანდეს, აუცილებელია საკუთარი თავისთვის გამოწერილი მაღალი პრემიები და ხელფასები, ყველა ჯაზ-ფესტივაზე „სტუმრებთან ერთად“ დასვენება და გართობა და ბიუჯეტის კიდევ ათასობით ლარი... ისე, თუ გიორგი ბარამიძის უკანასკნელ ფრთიან რეპლიკას გავიხსენებთ „არაფერი შეგეშალოთ, ბიჭოო!“ — ოპოზიციონერის სტატუსით, ახალ ხელისუფლებას თითი რომ დაუქნია, იქნებ ამ ფაქტების გამოქვეყნების შემდეგ მაინც დაფიქრდეს (თავადაც და ნაციონალური მოძრაობაც) — რამდენი შეეშალა?! რამდენი შეეშალა მაშინ, როცა ჯერ კიდევ „მწვანეებში“ პარტიის აღმასრულებელი მდივანი იყო, შემდეგ მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი და ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარე, შეეშალა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ჯერ შინაგან საქმეთა და შემდეგ თავდაცვის მინისტრის პოსტზე... ჯერჯერობით ყველაფერს არ ჩამოვთვლით, უბრალოდ, ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც შევახსენებთ, რომ, თუკი საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია, თუკი მაპ-ი და ნატო ჩვენთვის გადარჩენის გზაა, იქნებ მსგავს ფაქტებზე მკაცრი რეაგირება მოვახდინოთ.

ა.წ. 27 მაისს, „ვერსიამ“ ოფიციალურად მიმართა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გადმოეცა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში უკანასკნელად ჩატარებული კვლევის მასალების სრული დოკუმენტაცია. 3 ივნისს ჩვენი თხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გადმოგვეცა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, რომლის ყველაზე სკანდალურ ნაწილს „ვერსია“ დღეს გთავაზობთ: ეს გახლავთ გიორგი ბარამიძის მიერ, საკუთარი ბრძანებით, კანონდარღვევით, გამოწერილი პრემიები, მივლინებები საქართველოს სახელით აშშ-ში, გერმანიაში, ჩეხეთში, საფრანგეთში, უნგრეთში, მოლოდოვასა და ბელგიაში, იქ სპა-სალონებსა და გამაჯანსაღებელ ცენტრებში მასაჟებისთვის ბიუჯეტიდან გახარჯული ათასობით ლარი; კიევის ღამის ბარებში ნაყიდი 9 ცალი წითელი ვარდი და სხვა ყველა იმ ფაქტის ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აპარატის მუშაობა უარყოფითად შეაფასა. „ვერსიამ“ ვერ გაარკვია, რა ვადებში გადაეცემა შემოწმების მასალები პროკურატურას და რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდიუმი.

აუდიტორული შემოწმების დეტალები

2011 წლის 31 დეკემბრიდან, 2012 წლის 31 დეკემბრამდე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფინანსური აუდიტი ჩაატარა. ეს შემოწმება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და მისი მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) — „საინფორმაციო ცენტრი ნატო-ს შესახებ“ აუდიტს მოიცავს.

აუდიტით დადგინდა, რომ შემოწმების პერიოდში, აპარატი და ცენტრი საბუღალტრო აღრიცხვას არ აწარმოებდნენ. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის, 2007 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული №1321 ინსტრუქციის შესაბამისად, აპარატისა და ცენტრის შესაბამისი სამსახურები ბალანსის შესადგენად სახაზინო პროგრამას იყენებდნენ. აღრიცხვიანობის უქონლობის გამო, როგორც აპარატში, ასევე ცენტრში, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე, ეფექტური კონტროლი არ ხორციელდებოდა.

აპარატისა და ცენტრის სალაროში, ნაღდი ფულის მოძრაობის კონტროლის მიზნით, სალაროს წიგნს არ აწარმოებდნენ. ვინაიდან აუდიტის პერიოდში აპარატისა და ცენტრის თანამშრომლებმა შესაბამისი ხარჯვის დოკუმენტები ვერ წარადგინეს, აღნიშნული ფულადი სახსრები — 4 700 ლარი, სალაროს დანაკლისია. აქედან აუდიტის პერიოდში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე 1 800 ლარი დაბრუნდა, ხოლო დარჩენილი ფულადი სახსრები — 2 900 ლარი, ანგარიშვალდებულმა პირმა ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა აღადგინოს.

სახელმწიფო მინისტრის „ვიზიტი“ სპა-სალონსა და ღამის ბარში

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ქვეთავი გახლავთ მივლინების ხარჯები, რომელმაც არ შეიძლება ამ ქვეყნის ნორმალური მოქალაქე არ აღაშფოთოს. არავინ დავობს, რომ სახელმწიფო მინისტრის ვალდებულებებიდან და მოვალეობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მას სხვა სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელზე მეტი მივლინება ჰქონოდა, არც იმაზე დავობს არავინ, რომ ხშირად საჭირო ხდება, პრივატული შეხვედრების ორგანიზება და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი დელიკატური საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, თუმცა აქ წარმოდგენილი ფაქტების სკანდალურობაში, თუ ამ ლოგიკის უფლებას მოგვცემთ, ახლავე დარწმუნდებით:

2011-2012 წლების საანგარიშო პერიოდებში, აპარატმა „მივლინების“ ქვემუხლით, 988 200 ლარი გახარჯა. მათ შორის, 2011 წელს, ქვეყნის შიგნით — 26 917 ლარი, ქვეყნის გარეთ — 486 037 ლარი, ხოლო 2012 წელს, ქვეყნის შიგნით — 36 405 ლარი, ქვეყნის გარეთ — 438 838 ლარი. ქვეყნის შიგნით მივლინებების დროს, მაღალი რანგის თანამდებობის პირებზე დანამატების გაცემის ფაქტებიც დაფიქსირდა, რასაც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულება არ ითვალისწინებს.

ქვეყნის ფარგლებსგარეთ მივლინებისას, შესაბამის ბრძანებებში განსაზღვრული არ არის მივლინების მიზანი და აუცილებლობა, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიწვევები წარმოდგენილი არ არის, რაც ვიზიტის მნიშვნელობასა და საჭიროებას დაადასტურებდა. მივლინებულ პირებს, მივლინების პერიოდში განხორციელებული შეხვედრებისა და ვიზიტის ფარგლებში გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში არ წარუდგენიათ.

აუდიტის პერიოდში, მივლინებებისას გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯებმა 2011 წელს 65 700 ლარი, ხოლო 2012 წელს 55 300 ლარი შეადგინა. მათ შორის, საზღვარგარეთ მივლინებისას, ავანსად გაცემული თანხებიდან, 2011 წელს 64 500 ლარი, ხოლო 2012 წელს 54 500 ლარი გაიხარჯა. გაუგებარია, რის საფუძველზე წარმოებდა წარმომადგენლობითი ხარჯების საჭიროებისთვის საავანსო თანხების კალკულაცია მაშინ, როდესაც არცერთ შემთხვევაში, მივლინებისას განხორციელებული შეხვედრებისა და იქ მიწვეული სტუმრების სია წარმოდგენილი არ არის.

აუდიტის პერიოდში, საზღვარგარეთ მივლინებების დროს, სახელმწიფო მინისტრის დაცვის ღონისძიებებზე, აპარატმა სახელმწიფო სახსრებიდან 137 800 ლარი გახარჯა, მათ შორის, 2011 წელს 74 400 ლარი, ხოლო 2012 წელს 63 400 ლარი. თუმცა ორგანიზაციამ თანამდებობის პირისთვის დაცვის გამოყოფის სამართლებრივი საფუძველი ვერ წარადგინა, რის გამოც აუდიტები აღნიშნული ხარჯების გაწევის კანონიერებაში ვერ დარწმუნდნენ. მეტიც, 2011 წლის მაისამდე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისთვის განსაზღვრული თანხების კონვერტაცია კომერციული ბანკების კურსით ხდებოდა, რაც ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნას ეწინააღმდეგება.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

სასჯელაღსრულების №7 დაწესებულების დირექტორის მოადგილე სამსახურიდან გათავისუფლდა

სახალხო დამცველის რწმუნებულების საქმიანობისთვის ხელისშეშლის გამო სასჯელაღსრულების №7 დაწესებულების დირექტორის მოადგილე, გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლდა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაასრულა სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში სახალხო დამცველის რწმუნებულთა საქმიანობის ხელისშეშლის ფაქტის შესახებ. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოიკვეთა სასჯელაღსრულების №7 დაწესებულების დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტი, რის გამოც მის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი ზომა — სამსახურიდან გათავისუფლება. გარდა ამისა, მითითება მიეცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რათა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსგავსი ფაქტები ავირიდოთ. სასჯელაღსრულების №7 დაწესებულების დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმა ადეკვატურად შეაფასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად გოგი გახარიას დანიშვნასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც დიმიტრი დარბაისელმა თანამდებობა დატოვა, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობას მისი პირველი მოადგილე ასრულებდა, რომელმაც ამ თანამდებობაზე ყოფნა აღარ ისურვა. რაც შეეხება იმას, ვინ შეიძლება დაინიშნოს დეპარტამენტის თავმჯდომარედ, როგორც სოზარ სუბარმა აღნიშნა, ეს არის სფერო, სადაც სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებამ შესაძლოა გარკვეული პრობლემები შექმნას.

„ვერსიანიუსი“

ირაკლი ალასანიას ვიზიტი საბერძნეთში დასრულდა

საბერძნეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ პარლამენტში შეხვედრები გამართა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ირაკლი ალასანიას ხელმძღვანელობით, თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია საბერძნეთის პარლამენტის თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ, კონსტანტინოს ციარასმა მიიღო. შეხვედრას პარლამენტში წარმოდგენილი პარტიებისა და ფრაქციების წევრებიც დაესწრნენ.

შეხვედრაზე საქართველოსა და საბერძნეთს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები განიხილეს. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საბერძნეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების დინამიკა ძალიან ინტენსიური იქნება.

საუბარი შეეხო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების პროცესს და თავდაცვის უწყების მიერ განხორციელებულ რეფორმებს. შეხვედრის მთავარი თემები იყო ასევე, ქართული კონტინგენტის მონაწილეობა ავღანეთის ISAF-ის საერთაშორისო ოპერაციასა და 2014 წლის შემდეგ „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ (Resolute Support) მისიაში საქართველოს ჩართვა.

ირაკლი ალასანიამ მასპინძლებს ევროკავშირის ეგიდით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ქართული ასეულის გაგზავნის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მხარეები რეგიონული უსაფრთხოების საკითხებსაც შეეხნენ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საბერძნეთის რესპუბლიკაში დასრულდა.

„ინტერპრესნიუსი“

ირინე იმერლიშვილის მოადგილე თეონა აქუბარდია იქნება

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ აქუბარდიას დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება უკვე გამოქვეყნდა.

დღემდე თეონა აქუბარდია უშიშროების საბჭოს მდივნის მრჩეველი იყო.

2011-2013 წლებში იგი „საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის“ აღმასრულებელი დირექტორი და საბჭოს თავმჯდომარე, 2009-2013 წლებში კი „შავი ზღვის სამშვიდობო ქსელის“ ექსპერტთა ჯგუფის წევრი იყო.

მანამდე, 2008-2010 წლებში, იყო „თავდაცვის სამინისტროს თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს“ პროექტის კოორდინატორი.

ამასთან, აქუბარდია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GYPA) მიწვეული ლექტორია.

„პირველი“

მოსახლეობა თერჯოლაში იეჰოვას მოწმეების მიერ სამლოცველოს აშენებას აპროტესტებს

თერჯოლაში მოსახლეობა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარე მშენებლობას აპროტესტებს. მათ სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის მოთხოვნით აქცია გამართეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ორი ძმის ქუჩაზე იეჰოვას მოწმეები სამლოცველოს აშენებენ, რის უფლებასაც არ მისცემენ.

ადგილობრივების განმარტებით, მშენებლობის შეწყვეტის მიზნით ისინი ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ და ადგილობრივ ხელისუფლებას სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტაში დახმარებას სთხოვენ.

„ინტერპრესნიუსი“

ბარამიძის ევრობაირამობა

მე-3 გვერდიდან

ამ ინსტრუქციით, უცხოური ვალუტით გამოსახული ოპერაციების ღირებულება ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსით კონვერტირდება. ოფიციალური გაცვლითი კურსი კი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსია, რომელიც საბუღალტრო და სხვა ოფიციალური მიზნებისთვის გამოიყენება. სამივლინებო თანხების კონვერტაციის კურსის არასწორი გაანგარიშების გამო, მივლინებულ პირებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტად 1 600 ლარი გაიცა.

„მივლინების“ ქვემუხლით, ზოგიერთ თანამშრომელზე აპარატის მიერ ხშირად ისეთი ხარჯებია დაფინანსებული, რომლებიც არაადეკვატურია სახელმწიფო დაწესებულების მიზნებთან. მაგალითად, აშშ-ში, გერმანიაში, ჩეხეთში, საფრანგეთში, უნგრეთში, მოლდოვასა და ბელგიაში, სპა-სალონებსა და გამამჯანსაღებელ ცენტრებში მასაჟებისთვის ბიუჯეტიდან 6 200 ლარი გახარჯეს. მეტიც, სასტუმროს ქვითრების თანახმად, „სხვა ხარჯების“ მუხლით, 4 700 ლარი დაიხარჯა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ უნდა ანაზღაურებულიყო. კერძოდ, 2012 წლის 10 მაისს, სახელმწიფო მინისტრის ბელგიაში მივლინებისას, ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში, ქალაქ ბრიუსელში, ბლანკენსტრაატის ქ. №14-ში მდებარე მასაჟის დაწესებულება INTERDIT-ში (დაინტერესებული მკითხველი აღნიშნული დაწესებულების ფოტოების ნახვას ინტერნეტსივრცეში შეძლებს) გახარჯული 1 300 ლარი და 600 ლარი ფიგურირებს. იგივე დაწესებულებაში, 2011 წლის 25 ნოემბერს, სახელმწიფო მინისტრის მიერ სამივლინებო თანხებიდან გახარჯულია 200 ლარი და 300 ლარი. სახელმწიფო მინისტრის უკრაინის დედაქალაქ კიევში მივლინებისას, 2012 წლის 4 თებერვალს, ღამის ბარ just cafe-ში („ვერსია“ თავს იკავებს აღნიშნული ღამის ბარის ფოტოების გამოქვეყნებისგან) 1 900 ლარია გადახდილი, მათ შორის, ქვითრის მიხედვით, 4 გოგონას შეყვანის ღირებულება — 100 ლარი და 9 ცალი წითელი ვარდი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 100 ლარი დაჯდა!

მთლიანობაში, „მივლინების ხარჯების“ ქვემუხლით გახარჯული სახსრებიდან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ნორმების დარღვევისა და არასაბიუჯეტო ხარჯების საბიუჯეტო სახსრებით არამიზნობრივად ანაზღაურების გამო, ზედმეტად გადახდილია 24 600 ლარი. გარდა ამისა, საზღვარგარეთ მივლინებისას, სახელმწიფო მინისტრის ვიზიტების ვიდეოკამერით გადაღების ხარჯი — 9 600 ლარი, აპარატმა აანაზღაურა, რაც პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, „მივლინების ხარჯებში“ გათვალისწინებული არ არის. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სახელმწიფო აუდიტორებს ამ ვიზიტების ამსახველი და დამადასტურებელი ვიდეო-მასალა ვერ მიაწოდეს.

„მივლინების ხარჯების“ ქვემუხლით, სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ მიერ გაწეულმა ხარჯებმა 2011 წელს — 13 900 ლარი, ხოლო 2012 წელს — 8 200 ლარი შეადგინა. აუდიტით დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები დაცული არ არის. კერძოდ, ქვეყნის ფარგლებში განხორციელებული მივლინებებისას, სასტუმროს ინვოისი და ქვითარი არ წარუდგენიათ, მაგრამ თანხა ანგარიშვალდებულ პირზეა ანაზღაურებული. ჯამში, „ნატო-ს შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ მიერ, „მივლინების ხარჯების“ ქვემუხლით, ზედმეტად 700 ლარია გადახდილი.

პრემიები და ხელფასები

2011 წელს, ცენტრის მიერ სასაჩუქრე ბარათების, სუვენირებისა და სხვადასხვა საჩუქრის სახით, 15 100 ლარი დაიხარჯა, საიდანაც 9 800 ლარის ღირებულების ფულადი ვაუჩერი შეიძინეს. საჩუქრის სახითაა შეძენილი ისეთი საქონელი, როგორიცაა რბილი ავეჯის სამეული — 1 100 ლარი, ბრინჯაოს სუვენირები — 500 ლარი, ღამის ლამპა — 100 ლარი, ტანსაცმელი — 600 ლარი (პიჯაკი — 119 ლარი, შარვლები — 119 ლარი და 69 ლარი, ქვედაბოლო — 89 ლარი, ბლუზები — 9 ლარი და 39 ლარი). რაც შეეხება საჩუქრების მიმღებ პირებს, ცენტრის ხელმძღვანელებმა აუდიტის პერიოდში, მათ შესახებ ინფორმაცია ვერ წარადგინეს. შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილი საქონლის საჩუქრის სახით გადაცემა დოკუმენტურად არ დასტურდება.

სააუდიტორო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით, შტატით მომუშავე თანამშრომლების უმეტესობაზე პრემიები ყოველთვიურად გაიცემოდა. იყო შემთხვევები, როდესაც თვეში ერთზე მეტ პრემიას გასცემდნენ. მაგალითად, 2011 წელს გაცემული პრემიების ხვედრითმა წილმა, „მთლიანი ხარჯის“ მუხლის — 44%, ხოლო თანამდებობრივი სარგოს 79% შეადგინა, საიდანაც დეკემბერში გაცემული პრემიების ხვედრითი წილი თანამდებობრივ სარგოსთან შედარებით — 124%, ხოლო შრომის ანაზღაურებასთან შედარებით — 55%-ია. აუდიტის პერიოდში, აპარატის ასიგნებებიდან, სახელმწიფო მინისტრებზე, საკუთარი ბრძანებების საფუძველზე, პრემიის სახით დარიცხული და გაცემულია 115 300 ლარი. აქედან, 2011 წლის 1 იანვრიდან, 2012 წლის 20 აგვისტომდე, დარიცხული და გაცემულია 92 700 ლარის პრემია; 2012 წლის 24 აგვისტოდან, 22 ოქტომბრამდე — 11 300 ლარის პრემია; 2012 წლის 25 ოქტომბრიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით — 11 300 ლარის პრემია.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო მინისტრი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი), სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტის თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის წევრთა პრემიები, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლებელია საქართველოს კანცელარიისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან გაიცეს. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მთავრობის წევრის მიმართ წახალისების სხვადასხვა ფორმის, მათ შორის პრემიების გაცემის უფლება, საქართველოს პრემიერ-მინისტრს აქვს. სახელმწიფო მინისტრმა, რომელსაც თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრი ნიშნავს, საკუთარი ბრძანებით პრემია კანონმდებლობის დარღვევით გამოიწერა.

ეს გახლავთ მცირე ფრაგმენტი აუდიტის სამსახურის დასკვნისა, „ვერსია“ განაგრძობს ამ თემაზე მუშაობას და სხვა ფაქტებს მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ. აქვე გეტყვით, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასება, ასეთია: **„უარყოფითი შეფასება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ: აპარატისა და ცენტრის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან“.**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით აუდიტის ობიექტები, რომლებიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად არიან ადმინისტრაციული ორგანოები, უფლებამოსილნი არიან, სახელმწიფო აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ვერსიანიუსი

ბათუმში 22 წლის გოგონამ თვითმკვლელობა სცადა

ბათუმში, ბულვარის სანაპიროზე 22 წლის გოგონამ თვითმკვლელობა სცადა. როგორც აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსმა მამუკა თურმანიძემ განმარტა, გოგონამ ხელზე ჯერ ვენები გადაიჭრა, შემდეგ კი ზღვაში შესვლა სცადა. მისივე განმარტებით, ბულვარის სანაპიროზე სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა გოგონას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს: **„ბულვარის სანაპიროზე 22 წლის გოგონამ ვენები გადაიჭრა, შემდეგ კი ზღვაში გადახტომა სცადა. ჩვენმა მაშველებმა გოგონას ზღვაში გადახტომის საშუალება არ მისცეს, აღმოუჩინეს პირველადი დახმარება და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს“.** თურმანიძისვე თქმით, ახალგაზრდა გოგონა შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

რა შემთხვევაში შეუძლია სინოდს უწმინდესის გადაყენება და ვინ იბრძვის პატრიარქობისთვის

ექსკლუზიური ინტერვიუ ბექა მინდიაშვილთან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

1977 წლიდან, ბევრი ბრალდებისა თუ შიდადაპირისპირების მიუხედავად, საქართველოს პატრიარქი ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის უცვლელი საჭეთმპყრობელია. ალბათ, მსგავსი განცხადებები უწმინდესის გარშემო სულ ისმოდა, თუმცა დღეს მისი გადადგომისა თუ გადაყენების თემა საზოგადოებაში აქტიურად განიხილება. ამას ხელს, გარკვეულწილად, სასულიერო პირები თავად უწყობენ. ორი დღის წინ, დიაკვანმა ელიზბარმა განაცხადა, 3 ივნისს წმინდა სინოდი პატრიარქის პენსიაზე გაშვების თემაზე იმსჯელებსო. საპატრიარქოს სინოდის სხდომა მართლაც შედგა და რაღა თქმა უნდა, მსგავსი საკითხი არც განხილულა, თუმცა დედაეკლესიას ოფიციალური პოზიციის დაფიქსირება მაინც მოუხდა: „სხდომა ნამდვილად იქნება, მაგრამ საკითხი, თითქოს პატრიარქი გადადგომის შესახებ გააკეთებს განცხადებას, სიმართლეს არ შეესაბამება. სირცხვილია ასეთი თემებით სპეკულირება. არ ვიცი, ეს ადამიანები რა გასართობს ნახულობენ ამაში. მათი განცხადებები არასერიოზულია და საპატრიარქოს მხრიდან ყურადღებას არ იმსახურებს“. ამდენი უარყოფის მიუხედავად, რას ნიშნავს და რატომ ვრცელდება მსგავსი ინფორმაციები, როგორ რეგულირდება საეკლესიო სამართლის მუხლებით პატრიარქის გადადგომა-გადაყენების საკითხი და რა როლი თუ უფლებები აქვს ამ ვითარებაში წმინდა სინოდს — „ვერსია“ ყველასთვის საინტერესო თემაზე თეოლოგ ბექა მინდიაშვილს ესაუბრა.

— ბოლო დროს ხშირად გვესმის: „პატრიარქი პენსიაზე გადის“, „პატრიარქის გადაყენება“, „პატრიარქის ჩამოგდება“... იმით დავიწყოთ, რომელიმე ამ ფრაზას საერთოდ თუ იცნობს საეკლესიო სამართალი?

— ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, მხოლოდ ჭორია, რადგან არანაირი სანდო ინფორმაცია არ მაქვს, თითქოს ვინმე პატრიარქის გადაყენებას აპირებდეს, ან თავად ფიქრობდეს პენსიაზე გასვლას. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში იყო შემთხვევები, როცა კათოლიკოსობიდან ანტონ კათალიკოსი გაათავისუფლეს. იგი კათოლიკე სარწმუნოების მიღებაში ამხილეს და თეიმურაზ მეორის დროს რუსეთში გადაასახლეს, თუმცა შემდეგ პოსტს დაუბრუნდა. იყო შემთხვევებიც, როცა პენსიაზე ეპისკოპოსები გავიდნენ, ასევე განსხვავებული ორიენტაციის მიზეზით, 4 ეპისკოპოსი დაითხოვეს სინოდიდან 90-იან წლებში. ზვიად გამსახურდიას მომხრე ეპისკოპოსებიც გაათავისუფლეს და ეკლესიაში მათი დევნა დაიწყო... ანუ ეს პრაქტიკა ეკლესიაში არსებობს. რაც შეეხება პატრიარქს, პირადი გადაწყვეტილებით, შესაძლოა, უარი თქვას თანამდებობაზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მიზეზების გამო და განაცხადოს, რომ ეკლესიის მესაჭეობა აღარ შეუძლია. გარდა ამისა, თუკი იგი მხილებულია სარწმუნოებრივ ცდომილებაში, ერეტიკულ მოსაზრებებში ან სისხლის სამართლის დანაშაულში, სინოდსაც შეუძლია როგორც პატრიარქის, ისე ნებისმიერი მღვდელმთავრის გათავისუფლება. საერთოდ, პატრიარქი განსხვავებული იერარქია არ არის. საქართველოს ეკლესიის მმართველობა სინოდალურია ანუ უპირატესი არის სინოდი, პატრიარქის ტიტული კი მხოლოდ საეკლესიო წოდებაა და არა ყველაზე მაღალი იერარქია. იერარქია მხოლოდ სამ პოზიციამდე დადის: ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკვანი. ყველა დანარჩენი მხოლოდ ტიტული და წოდებაა. ამ თვალსაზრისით, პატრიარქი ჩვეულებრივი ეპისკოპოსია. სამაგიეროდ, სამოქალაქო კანონის მიხედვით, იგი სრულიად დაცული ფიგურაა.

— კონკორდატის თანახმად, პატრიარქი ხელშეუვალია, მაგრამ საერო დონეზე. სასულიერო დონეზე რა ხდება ამ თვალსაზრისით?

— ამაზე ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს, რადგან ეს განსჯის საგანი აქამდე არასოდეს ყოფილა. მისი ხელშეუვალობა ნიშნავს, რომ სამოქალაქო ხელისუფლებას პატრიარქის სისხლის სამართლის დანაშაულში მხილება და მისი დასჯა არ შეუძლია. სინოდის გადაწყვეტილების გარეშე, პატრიარქს ვერავინ გადააყენებს.

— ბოლო დღეებში, მოვისმინეთ დიაკვან ელიზბარის განცხადება, რომ 3 ივნისს ჩატარებულ სხდომაზე სინოდს პატრიარქის პენსიაზე გასვლის საკითხი უნდა დაეყენებინა. სინოდს მსგავსი გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს?

— ამ ადამიანის სიტყვების კომენტირებაზე საგანგებოდ ვამბობ უარს, რადგან დიაკვანი ელიზბარი ჩვეულებრივი შარლატანი და ავანტიურისტია. იგი ეკლესიის პოზიციას არ გამოხატავს და თუ მკითხავთ, პირველი, ვინც საეკლესიო იერარქიიდან უნდა დაითხოვონ, სწორედ დიაკვანი ელიზბარია. იგი ხშირად არღვევს როგორც რჯულის კანონს, ისე სინოდის გადაწყვეტილებებსაც და ღიად უჭერს მხარს პოლიტიკურ ძალებს. იგივე შეიძლება ითქვას ბევრ სხვა სასულიერო პირზეც. ჩემი აზრით, ჩვენმა სინოდმა, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობას უნდა მოუხადოს ბოდიში და განკითხვა საკუთარი თავით დაიწყოს. რაც შეეხება უშუალოდ სინოდის უფლებებს პატრიარქთან მიმართებაში — თუ პატრიარქი ერესში ან მძიმე დანაშაულში მხილებული არაა, მის გადაყენებაზე ან პენსიაზე გაშვებაზე სინოდის საუბარი ზედმეტია. სინოდს ამის უფლება არ აქვს. მეორე საკითხია, რომ თავად საპატრიარქოში ძალაუფლებისთვის ბრძოლა უკვე ძალიან მძაფრად მიმდინარეობს.

— წლებია, გვესმის სხვადასხვა ვერსია, ვინ იქნება პატრიარქის რეგენტი. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პატრიარქი მემკვიდრეს დატოვებს, მაგრამ ამ შიდადაპირისპირების ფონზე, მის კანდიდატურას სინოდი დაიწუნებს?

— პატრიარქის მიერ პოსტის დატოვების შემთხვევაში, მართვა-გამგეობის დებულებიდან გამომდინარე, მას ადგილმოსაყდრის დატოვება შეუძლია. ამ პირმა 40 დღეში სინოდის კრება უნდა მოამზადოს, რათა ახალი პატრიარქი აირჩიონ. შესაძლებელია სამი კანდიდატის დაყენება. მერე, ხმათა უმრავლესობით, რჩება ორი, ბოლოს კი ხმათა უბრალო უმრავლესობით, ერთი იმარჯვებს. პატრიარქი კენჭისყრაში არ მონაწილეობს, ხოლო, თუ სინოდის წევრად რჩება, მხოლოდ ერთი ხმის უფლებით სარგებლობს. საბოლოო სიტყვას მაინც სინოდი ამბობს და, თუ მას არ სურს პატრიარქის მიერ დატოვებული კანდიდატურა, მაშინ ის კაცი პატრიარქი ვერ გახდება. სინოდს საკუთარი კანდიდატურის გაყვანა შეუძლია.

— გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მომავალ პატრიარქად მეუფე იაკობი მოიაზრება. ამის შესახებ ინფორმაცია გაქვთ თუ ესეც მხოლოდ ჭორია?

— იაკობ იაკობაშვილი „ოცნების“ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია და ამავე დროს, დიმიტრი შიოლაშვილის ფრთის წარმომადგენლად მოიაზრება. საერთოდ, ეპისკოპოსებს შორის რამდენიმე დაპირისპირებული ფრთაა, შესაბამისი კანდიდატებით — დიმიტრი შიოლაშვილი, დანიელ დათუაშვილი, აბრაამ გარმელია, იობ აქიაშვილი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს „ოცნებას“ და გამორჩეულია რეაქციული შეხედულებებით. სწორედ ის ამბობდა 2012 წელს, რომ ადამიანებს კალიები შემოესევიან, ხალხი გაგიჟდება და ა.შ. არის სერგი ჩეკურიშვილის ფრთაც. არაა გამორიცხული, ამ პირებიდან ვინმე მომავალ პატრიარქადაც მოგვევლინოს.

ზოგადად, საპატრიარქო ძალიან დახურული ორგანიზაციაა და იქიდან სწორი ინფორმაციის გამოტანა ძნელია, თუმცა ზედაპირულადაც კარგად ჩანს, რომ მის შიგნით ძალაუფლებისთვის ერთმანეთს დაპირისპირებული ჯგუფები ებრძვიან და იმ დღისთვის ემზადებიან, როცა ახალი პატრიარქი შეირჩევა.

— საერო ხელისუფლებას რა ხელი აქვს ახალი პატრიარქის არჩევასთან და რაიმე ფორმით სინოდის გადაწყვეტილებაში ჩარევა შეუძლია?

— მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიცია, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, ასეთია: აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, როცა ეკლესიის წინამძღოლი ხელისუფლების ნებისა და ინტერესის გაუთვალისწინებლად არჩეულა. იმ ქვეყნებში, სადაც მართლმადიდებელი მრევლი უმრავლესობას წარმოადგენს, ესა თუ ის ხელისუფალი ეკლესიის ცხოვრებით მუდმივად ინტერესდებოდა და ამ ინსტიტუტზე უზარმაზარ გავლენასაც ახდენდა. ეს ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც პეტრე პირველმა საერთოდ გააუქმა ეკლესია და პატრიარქობა და ეს ინსტიტუცია სინოდალურ კანტორად აქცია, ეკლესიას კი საერო პირი დაუნიშნა მმართველად. საქართველოში რუსეთის შემოსვლის მერე, ეკლესია ასევე გაუქმდა. საბჭოთა პერიოდში, სტალინმა ჩვენი ეკლესია ქრისტიანული არსისგან გამოშიგნა და ენკავედე-ს აგენტურით გაავსო.

ჩვენთან, მეტ-ნაკლებად, სააკაშვილის დროს გაიმიჯნა ერთმანეთისგან საერო და სასულიერო ხელისუფლება, რადგან ამ დროს ეკლესია დამოუკიდებელი გახდა. შესაბამისად, არც ეკლესია დადიოდა სააკაშვილის ჭკუაზე და არც სააკაშვილი ეკლესიისაზე. ეს კარგია! ამით კარგ პროცესს დაედო საფუძველი და ცუდი არც ისაა, ბიძინა ივანიშვილი მუდმივად რომ ამბობს, ეს ორი ხელისუფლება ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოსო. თუმცა ანტიდისკრიმინაციული კანონის გარშემო ატეხილი დიდი დაპირისპირება რომ გავაანალიზოთ, დეპუტატებმა ამ კანონს მხარი შინაგანი რწმენით კი არა, იმიტომ დაუჭირეს, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი მათთვის პატრიარქზე დიდი ავტორიტეტია. არადა, ეკა ბესელია, მანანა კობახიძე და სხვები პარლამენტში პირჯვრისწერით შევიდნენ. თუ ღიად ვსაუბრობთ, მაშინ ტაბუდადებული თემებიც არ უნდა არსებობდეს და თანამედროვე მოქალაქემ ყველა ადამიანის შეფასება უნდა შეძლოს.

საქართველოს კათალიკოსი მუდმივად საუბრობს რუსეთ-საქართველოს ისტორიული ძმობისა და ურთიერთობის ახალ დონეზე გადაყვანის შესახებ. ესეც არასწორად მიმაჩნია.

— თქვენ არ გესმით პატრიარქის არგუმენტი, როცა მისი ტონი გაცილებით რბილია, ვიდრე ოფიციალური თბილისისა? გარდა ამისა, გამოკითხვებშიც ჩანს, რომ მის აზრს მოსახლეობის უმრავლესობა იზიარებს!

— პატრიარქის ნდობის მაღალი მაჩვენებელი მის სიმყარესთან, სიდინჯესთან, ქრისტიანობასთანაა ასოცირებული. რეალურად, ადამიანები არც პატრიარქს უსმენენ — დღეს იგი ბევრ ისეთ რამეს ამბობს, რაც არ სრულდება, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, პატრიარქი მუდმივად ქართველი ამომრჩევლის თვალწინაა და ადამიანმა იცის, რომ, თუ პოლიტიკური ხელისუფლება არამყარია, საეკლესიო ხელისუფლება ასე ადვილად არ შეიცვლება. გარდა ამისა, პოლიტიკურმა ძალებმა მას ასეთი როლი თავად შეუქმნეს და ეს როლი ზრდის მის რეიტინგს — დღეს პატრიარქი ჭეშმარიტების დადგენის საბოლოო ინსტანციაა. ისაა პირი, ვინც უნდა შეარიგოს დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები, ხელისუფლებას რაღაც გადაწყვეტილება მიაღებინოს, შეაჩეროს შიმშილობის აქცია და ა.შ. წესით, ერთადერთი, რაც სასულიერო პირებისგან უნდა გვესმოდეს, სიყვარულისა და სახარების ენაა, თუმცა ის, რაც ბოლო დროს გვესმის ეკლესიიდან, სრულიად განსხვავებულია სახარების ენისგან. ქრისტიანობა უკიდურესი სიყვარულის ქადაგებაა, რომელიც არანაირ ჯეებირსა და დაბრკოლებას არ სცნობს, დღეს ეს ეკლესიის მთავარი პრობლემაა და ყველა დანარჩენიც აქედან მომდინარეობს.

ვერსიანიუსი

სინოდმა უცხოეთისთვის ოთხი ახალი მღვდელმსახური გამოარჩია

წილკნის მიტროპოლიტ ზოსიმემ განცხადებით, ეპისკოპოსები გერმანიისთვის, ჰოლანდიისთვის, ამერიკისა და საინგილოსთვის გამოირჩნენ.

მისი თქმით, გერმანიისთვის მამა ლაზარე სამარბეგიშვილი, ჰოლანდიისთვის მამა ზოსიფე, ამერიკისთვის მამა საბა, საინგილოსთვის კი მამა დემეტრე თეთრუაშვილი გამოირჩა.

მიტროპოლიტ ზოსიმეს განცხადებით, აღნიშნული მღველმთავარები საეკლესიო მსახურებას იქ უკვე ასრულებენ. მიტროპოლიტ ზოსიმეს თქმით, ასევე სინოდის სხდომის გადწყვეტილებით საქართველოს ეკლესიის პირველი მღვდელმთავარი, მთავარეისკოპოსი იოანე წმინდანად შერაცხეს.

ამასთან, მისივე თქმით, სინოდმა ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით პატრიარქის განცხადება დაამოწმა. სხდომაზე სხვა მნიშვნელოვანი საკითხი არ განუხილავთ.

„პირველი“

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

„მეც მოვტყუვდი!“

რაში ამხელს ხელისუფლებას და რას ჰპირდება დიღმის მოსახლეობას ვაჟა ოთარაშვილი

ამბობს, რომ აჭარაში „დიდი თურქობა“ იწყება, რადგან საზღვრისპირა სოფლებში თურქი მესაზღვრეები ქართველ გლეხებს მიწის დამუშავების შესაძლებლობას არ აძლევენ. იმის გამო, რომ მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით ხელისუფლება დუმს, „ქართულ ოცნებას“ ნაციონალურ მოძრაობასთან აიგივებს და მოღალატეობრივს უწოდებს. რა მდგომარეობაა აჭარის სოფლებში, რატომ ფიქრობს, რომ პირველ ოქტომბერს მოტყუვდა და რას ჰპირდება დიღმის მოსახლეობას? „ვერსიას“ დიღმის მასივის რაიონში „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარობის კანდიდატი, მწერალი ᲕᲐᲟᲐ ᲝᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ესაუბრა.

— თურქეთი საქართველოს მეგობარი სახელმწიფო არასოდეს ყოფილა. უბრალოდ, ის ადამიანები, რომლებიც მოსახლეობას წლების განმავლობაში აწამებდნენ და ავიწროებდნენ, თავს გვახვევდნენ — ჩვენი პარტნიორიაო, არადა, თურქეთმა საქართველოს ექსპანსია ჯერ უხარისხო პროდუქტის შემოზიდვით, შემდეგ კი გამოუსადეგარი მედიკამენტებით დაიწყო. რამდენიმე დღის წინ უკვე ღია აგრესიაზე გადავიდა; კერძოდ — 29 მაისს, აჭარის სასაზღვრო სოფელ კირნათში, შუადღისას, 15-20 თურქი მესაზღვრე შეიჭრა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, საკუთარი ბოსტნებიდან და ბაღებიდან ქართველი გლეხები განდევნა. თურქი მესაზღვრეები, რომლებიც სოფელს აწიოკებდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას უყვიროდნენ — ეს თურქული მიწებია და თქვენ არ უნდა დაამუშავოთო. ეს ინფორმაცია სოფელ კირნათის მცხოვრებმა ნათია და ჯუმბერ ჯიხაძეებმა, ასევე ასლან გაბიდაძემ მომაწოდეს, რომლებიც, სახლში ჩაკეტილნი, შველას თბილისიდან ითხოვდნენ.

— რატომ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოქალაქეების დაცვაზე უარი განაცხადა?

— კირნათელებმა ადგილობრივ თვითმმართველობასაც მიმართეს, მაგრამ მათთან შესახვედრად არც გამგებელი და არც სხვა საჯარო მოხელე დღემდე არ მისულა.

— დღეს რა მდგომარეობაა სოფელში, გაქვთ ინფორმაცია?

— სოფელ კირნათში მიწები სააკაშვილის მმართველობის დროს თურქებზე მართლაც გაიყიდა, ახლა კი, ნაციონალური მოძრაობის ხროვის მსგავსად, ეს საკითხი „ქართულმა ოცნებამაც“ დააკონსერვა. ინციდენტზე ოფიციალური განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსაც არ გაუკეთებია, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ „ოცნება“ და ნაციონალები ერთმანეთთან შეხმატკბილებული, ერთსქესიანი პოლიტიკური ძალაა. ხელისუფლება, სააკაშვილის ფაშისტური ბანდის მსგავსად, ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოღალატეობრივ პოლიტიკას აწარმოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნიდან არ გააპარებდნენ მიხეილ სააკაშვილს, მილიარდებთან ერთად, რომელიც ქართველი ხალხისგან წურბელასავით ამოწოვა.

— არადა, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მათ პოლიტიკური ნიშნით დევნიან. ბოლო პერიოდში, ხელისუფლების პირველი პირების გამოსვლებში მუქარისშემცველი განცხადებები მართლაც გახშირდა. ეს მხოლოდ ფორმალური ომია?

— ტყუილების კასკადი გრძელდება! სამწუხაროდ, პირველ ოქტომბერს მეც მოვტყუვდი. „ქართულმა ოცნებამ“ ხალხი დასაღუპად გაწირა, განსაკუთრებით კი, ის ადამიანები, რომლებიც მას ენდნენ და მძიმე ბრძოლაში გვერდში დაუდგნენ. ღიად ვამბობ — „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკურ მეძავ ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკური საქალწულე აპკი ცხრაჯერ აღუდგინა! ის ადამიანები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის პირობებში დაწინაურებულნი იყვნენ, დღეს „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში აღმოჩნდნენ და ბედნიერებიც არიან.

— თუმცა, საარჩევნო სიის შედგენამდე პრინციპულად ითქვა, რომ ყოფილი ნაციონალები „ოცნების“ რიგებში არ იქნებოდნენ. დააკონკრეტეთ კოალიციის საარჩევნო სიაში მყოფი ექსნაციონალი?

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ვმონაწილეობ, დიღმის მასივში მაჟორიტარობის კანდიდატი ვარ, ამიტომ კონკრეტული პირების დასახელებისგან თავს შევიკავებ — არ მინდა, ვინმემ ჩათვალოს, რომ პოლიტიკური ნიშნით ვებრძვი. სრული პასუხისმგებლობით კი კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ნაციონალური მოძრაობის მიერ წართმეულ კომპანიებში მომუშავე ან წილის მფლობელმა პირებმა 5-იანი უცებ 41-ად გადააკეთეს და გულზე მჯიღს იცემენ.

— ისე, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აპელირებენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება სახელისუფლო ზეწოლის ფონზე უწევთ. როგორც მაჟორიტარობის კანდიდატს, თქვენც იგივე განცდა გაქვთ?

— წინასაარჩევნო კამპანიას არათანაბარ გარემოში ვაწარმოებთ, რადგან „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობისთვის ფინანსური კუთხით კონკურენციის გაწევა რთულია. საარჩევნო კომისიებიც მხოლოდ „ოცნებისა“ და ნაციონალების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. რაც მთავარია, ხელისუფლებამ სააკაშვილისგან მემკვიდრეობით მიღებული 3,5-მილიონიანი საარჩევნო სია არ უარყო, პირიქით, სიაში 170 ათასი ამომრჩეველი დაამატა, თუმცა ყველას უნდა ესმოდეს, რომ ხალხი უსამართლობას აღარ მოითმენს და არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყება.

— თქვენი პოლიტიკური ძალა არჩევნების შემდეგ მასშტაბური გამოსვლებისთვის ემზადება?

— ამას დრო გვიჩვენებს... „პატრიოტთა ალიანსს“ თბილისსა და რეგიონებში საზოგადოების საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს, რადგან ასპარეზზე ერთადერთი სუფთა ძალა ვართ — გარიგებებსა და სხვადასხვა სპეკულაციაში მონაწილეობა არასოდეს მიგვიღია.

— თქვენ ამომრჩეველს რას ჰპირდებით?

— დიღმის მასივი დედაქალაქში ყველაზე ახალგაზრდა და გამწვანებული უბანია, თუმცა ნაციონალური ხროვის ბატონობის დროს, მწვანე საფარი სრულად განადგურდა და მისი ადგილი უსახურმა კორპუსებმა დაიკავა. ჩემი არჩევის შემთხვევაში ეს პროცესი აუცილებლად შეჩერდება. სხვათა შორის, დიღმი ისტორიული უბანიცაა — ამ ტერიტორიაზე ჩვენ წელთაღრიცხვამდე I-II საუკუნეებში იბერიელები ცხოვრობდნენ. ეს არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა, გიგი უგულავამ კი ჯიბის გასასქელებლად, ყველა ისტორიული ადგილი გაყიდა. რაც მთავარია, სრულიად დედაქალაქს ვპირდები, რომ დიღმის მასივიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი დაიწყება — თბილისის საცხოვრებელ კორპუსებში გაზის, ელექტროენერგიისა და წყლის მრიცხველები ევროპულ სტანრდატს არ შეესაბამება, ISO სერტიფიკატი არ აქვს და არც დაკალიბრებულია. ამით კომპანიები სარგებლობენ და დედაქალაქის მოსახლეობას ძარცვავენ. შესაბამისი კანონი არც ნაციონალურმა მოძრაობამ, არც გაოცნებებული შიხიაშვილისა და სამუშიას საკრებულომ მიიღო. როგორც ჩანს, შემდეგ თავადაც მეწილეები გახდნენ. ევროპელებმა საქართველოში უნიკალური ლაბორატორიები აამუშავეს. ამ მიმართულებით რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯა, მაგრამ არავინ იღებს კანონმდებლობას, მრიცხველები შემოწმდეს და ქალაქის მოსახლეობა ფულის მოპარვისგან დაზღვეული იყოს. ეს არის ჩვენი ევროპული მისწრაფებები? საკრებულოში შესვლისთანავე, გპირდებით, ეს კანონი ძალაში შევა, კომპანიები კი ახალ მრიცხველებს დედაქალაქის მასშტაბით უფასოდ დაამონტაჟებენ.

— თქვენ ხომ კერძო კომპანიებზე საუბრობთ, საკრებულოში მუშაობის დაწყებას ბიზნესზე ზეწოლით აპირებთ?

— თვითმმართველობის კანონის თანახმად, სახელმწიფოს უფლება აქვს შეარჩიოს კერძო ფირმა, რომელიც მისაღებ ფასებში დედაქალაქის მოსახლეობას მოემსახურება. თუმცა გიგი უგულავას ხროვას, შემდეგ კი, „გაოცნებებულ ნაცებს“ მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე ერთი წუთითაც არ უფიქრიათ. ახალმა საკრებულომ სწორედ ამ თემით უნდა დაიწყოს მუშაობა, რათა გაჭირვებულმა ხალხმა შვებით ამოისუნთქოს. გარდა ამისა, ბენზინგასამართ სადგურებშიც ბენზინის ოქტანობა ევროპულ სტანდარტს არ შეესაბამება და მოქალაქეებს ატყუებენ. იგივე მდგომარეობაა მედიკამენტებთან დაკავშირებით, რაც დედაქალაქის ცხოვრებაში აუცილებლად უნდა შეიცვალოს. დიღმის მასივიდან დავიწყებ „სითი პარკის“ საქმის შესწავლასაც, რომელიც გიგი უგულავასა და მამუკა ახვლედიანის მონაწილეობით შეიქმნა. ეს კომპანია ავტომობილის მფლობელებს დღემდე აყაჩაღებს და საქართველოს კონსტიტუციას არღვევს — კანონმდებლობის თანახმად, კერძო ფირმას საქართველოს მოქალაქეების დაჯარიმებისა და მათი ქონების ხელყოფის უფლება არ აქვს. არ ვამბობ, რომ „სითი პარკი“ ქალაქში არ უნდა იყოს, მაგრამ ეს სახელმწიფო ინსტიტუტების პრეროგატივა უნდა გახდეს და არა კერძო ბიზნესის. ამასთან, აუცილებელია დედაქალაქის მოსახლეობას, ყოველდღიურად ამინდის პროგნოზთან ერთად ამცნონ, სხვადასხვა უბანში ჰაერში შემავალი მავნე ნივთიერებების არსებობის შესახებ. ეს სტანდარტი პარიზში, ლონდონსა და სხვა ევროპულ დედაქალაქებში დიდი ხანია დანერგილია. ეს აუცილებელია, რათა ასთმით, ჰიპერტონული ან გულის იშემიით დაავადებულმა ადამიანებმა იცოდნენ, რომელ ქუჩებს უნდა მოერიდონ. ჩვენი კონსტიტუციური უფლებაა გარემო ფაქტორების შესახებ დეტალური ინფორმაცია ყოველდღიურ რეჟიმში მივიღოთ. სისტემატურად უნდა შემოწმდეს წყლის ხარისხიც, რათა მინინგიტის მორიგი ტალღა არ მივიღოთ. ამ დაპირებების გარდა, საკრებულო იმ დადგენილებებსაც მიიღებს, რომელიც დავით თარხან-მოურავმა და მერობის კანდიდატმა ირმა ინაშვილმა შესთავაზეს. მთავარია, მოსახლეობა „ქართული ოცნების“ ერთჯერად დახმარებებზე არ გაიყიდოს, როგორც ეს ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ხდებოდა.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲐᲓ ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ

საქართველოში პურტუგალიის რესპუბლიკის საპატიო საკონსულოს ინფორმაციით, პორტუგალიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ საზეიმო მიღება თბილისში გაიმართა და მას პორტუგალიის რესპუბლიკის საპატიო კონსულმა კახა შარაბიძემ უმასპინძლა. შარაბიძე ახლახან დაინიშნა ამ თანამდებობაზე და აღნიშნული საზეიმო მიღება მის ინაუგურაციასაც მიეძღვნა.

კახა შარაბიძე ამავდროულად არის იურიდიული ფირმა BLB-ის მმართველი პარტნიორი და ეწევა ნარმატებულ იურიდიულ პრაქტიკას მრავალი წლის განმავლობაში.

საზეიმო ღონისძიებასთან დაკავშირებით, თბილისში ჩამოვიდა ზიტით იმყოფება პორტუგალიის ელჩი საქართველოსა და თურქეთში ჟორჟ კაბრალი, რომელიც საქართველოს მთავრობის წევრებსაც შეხვდა.

საქართველოში პორტუგალიის საპატიო კონსულის ოფისი იმუშავებს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისა და კულტურული ურთიერთობების გასაღრმავებლად.

„ინტერპრესნიუსი“

„ᲐᲚ ᲯᲐᲖᲘᲠᲐ“: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲡ ᲕᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ“

ამ სათაურით აქვეყნებს ტელეკომპანია „ალ ჯაზირა“ რობინ ფორესტერ-უოკერის რეპორტაჟს საქართველოდან.

როგორც ავტორი აღნიშნავს, ერთ დროს საქართველოში მიესალმებოდნენ უცხოელი ბიზნესმენების მიერ სასოფლო მიწების შესყიდვას, თუმცა საქართველოში მყოფი ბევრი აზიელი ახლა იძულებულია, დატოვოს ქვეყანა, რადგან უარს ეუბნებიან ვიზის გაგრძელებაზე.

ამასთან, ავტორის მტკიცებით, საქართველოს წინა ხელისუფლებამ დიდძალი თანხა დახარჯა უცხოელი ინვესტორების მოზიდვის კამპანიაზე: **„ბევრმა ბიზნესმენმა აზიიდან და შუა აღმოსავლეთიდან ადვილად მიიღო საქართველოს ვიზები და მიტოვებული მიწები იაფად შეიძინა. მათ დაიწყეს მოსავლის მოყვანა და ქართულიც კი ისწავლეს, მაგრამ შარშან საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შეუჩერა უცხოელებს უფლება სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვასთან დაკავშირებით“.**

ამასთან, ავტორის თქმით, თებერვალსა და მარტში საქართველოს იუსტიციის სახლმა 50%-ზე ნაკლებ აზიელსა და ირანელს გაუგრძელა ვიზა, მაგრამ ბევრს ვიზის გაგრძელებაზე უარი უთხრა. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამასთან დაკავშირებით იუსტიციის სახლმა კომენტარზე უარი თქვა.

რობინ ფორესტერ-უოკერი ასევე აღნიშნავს, რომ კრიტიკოსთა განცხადებით, საქართველო ამით უცხოურ ინვესტიციებს კარგავს. მისივე თქმით, ბევრმა ინდოელმა ფერმერმა საქართველო უკვე დატოვა.

„ინტერპრესნიუსი“

საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეები

იურისტ ლევან ალაფიშვილის რჩევები ხელისუფლებას

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ქართული სასამართლო სისტემის აქილევსის ქუსლის — საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმირება იწყება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა პაკეტის ავტორი იუსტიციის სამინისტროა, პროექტი კი მთავრობამ უკვე დაამტკიცა. წინა ხელისუფლების დროს, საპროცესო კოდექსის ირგვლივ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც მრავალი შენიშვნა დაგროვდა, რასაც ევროკავშირის მთავარი უფლებათდამცველის, თომას ჰამარბერგის მიერ 2013 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ანგარიშიც მოწმობს. ჰამარბერგის ანგარიშით, სისხლის სამართლის საქმეთა 90%-ში საპროცესო გარიგება გამოიყენებოდა. გარდა ამისა, კოდექსში სხვა მნიშვნელოვანი დეტალებიც იყო დასაზუსტებელი, მაგალითად, რა ტიპის დანაშაულზე შეიძლება ან არ შეიძლება საპროცესო შეთანხმების დადება. ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის მონაცემებით, მხოლოდ 2013 წელს, 9 თვის განმავლობაში, ჯარიმების, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის, გირაოსა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ 54 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2009-დან 2012 წლამდე, ამ გზით ბიუჯეტში, ყოველწლიურად, ათობით მილიონი ლარი შედიოდა. მოკლედ, საიდუმლო არაა, რომ საქართველოს ბიუჯეტს სწორედ ეს თანხები კვებავდა! ახლა პროკურატურას დრაკონული ძალაუფლების დათმობა მოუწევს, ბიუჯეტს კი „დიეტა“.

პარლამენტში კანონპროექტის განხილვა, რომელიც თეა წულუკიანის პირველმა მოადგილემ, ალექსანდრე ბარამიძემ წარადგინა, უკვე დაწყებულია. ცვლილებათა არსი ისაა, საპროცესო გარიგებების ინსტიტუტი მანკიერი მხარეებისგან თავისუფლდება, შეთანხმების გაფორმების პროცესი კი გამჭვირვალე ხდება. უფრო კონკრეტულად: შეთანხმების დადების პროცესში, პროკურორი ვალდებულია, არამარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ბრალეულობის ხარისხი, არამედ, ისეთი ფაქტორებიც გაითვალისწინოს, როგორიცაა: სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, ბრალეულის საზოგადოებრივი საშიშროება, დანაშაულის ხასიათი, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები და ნასამართლობა.

კანონპროექტის რეალური ნოვაცია საპროცესო შეთანხმების ოქმის შედგენის ვალდებულებაა, რომელიც ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკებას დეტალურად უნდა ასახავდეს და დაცვისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს. ეს ოქმი სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობასაც უნდა დაერთოს, საპროცესოს გაფორმებამდე კი ბრალდებულს ყველა სამართლებრივი შედეგი უნდა განუმარტონ, მათ შორის ისიც, რომ შეთანხმების გაფორმება პირის ნასამართლობას გამოიწვევს.

ამასთან, ცვლილებებით, ახლებურად რეგულირდება დაზარალებულის უფლებებიც. მოქმედი კანონმდებლობა პროკურორს, საპროცესოს დადებამდე, დაზარალებულთან მხოლოდ კონსულტაციას ავალდებულებდა და, თუ ბრალმდებელი ზიანის შეუსაბამო სასჯელს მოითხოვდა, დაზარალებულს მისი გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა. კანონპროექტის მიხედვით, დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობის განხილვაზე დასწრება და სასამართლოზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებაც ექნება. ასევე, შეეძლება, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე საკუთარი მოსაზრებები მოსამართლეს წერილობით გააცნოს.

„მომავლის ინიციატივების“ ხელმძღვანელი, სამართლის ექსპერტი **ლევან ალაფიშვილი** საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრობს: **„პირისთვის სასჯელის დადგენა სასამართლოს კომპეტენციაა. დასავლეთის ქვეყნებშიც ასეთი ორი ფორმაა — საპროცესო შეთანხმება და სასჯელზე შეთანხმება, მაგრამ იქ სასამართლოს კონტროლი და დაზარალებული მხარის ჩართულობა ძალიან მაღალია. მხარეები შეიძლება რაღაცაზე შეთანხმდნენ, მაგრამ ეს სასამართლოსთვის უპირობო არ არის, რადგან საბოლოო სიტყვას სწორედ მოსამართლე ამბობს. თუკი ჩვენს კანონმდებლობაში ბრალზე შეთანხმება დარჩება, მაშინ სასამართლომ სასჯელზე როგორ იმსჯელოს? შეიძლება, ამ ცვლილებით ორი უკიდურესობა მივიღოთ. ვთქვათ, კონკრეტული დანაშაულის გამოძიება წარიმართა და იმის გამო, რომ ბრალდებულის მიმართ ბრალის დამამძიმებელი სხვა ფაქტები არ გამოვლინდა, მან ბრალი აღიარა. ამ შემთხვევაში, სასამართლომ რა კრიტერიუმით იმსჯელოს, როგორ მოახდინოს სასჯელის ინდივიდუალიზაცია, რაც კრიმინალისტიკაში უმთავრესია?! ვფიქრობ, ყველაფერი ეს კომპლექსურად უნდა იყოს გააზრებული“.**

მოსამართლე, რომელიც აქამდე პროკურორისა და ბრალდებულის შეთანხმების დეტალებს არ იცნობდა, ახლა უფრო ინფორმირებული იქნება. ერთი სიტყვით, სასჯელზე შეთანხმების პროცესში სასამართლოს ჩართულობის ზრდა, ცალსახად, დადებითი მხარე და მისასალმებელი ცვლილებაა. ძალიან უხეშად თუ ვიტყვით, პროკურატურის უფლებები ასეთი ერთპიროვნული ვეღარ იქნება, სასამართლოს როლი კი იზრდება.

ლევან ალაფიშვილი: „საზოგადოებას დააინტერესებს ცვლილება, რომელიც კრძალავს წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი თუ არაადამიანური მოპყრობისთვის ბრალდებულის სასჯელისგან სრულად გათავისუფლებას. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი უპრეცედენტო რამ უკვე მოხდა. ყოფილმა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა ვლადიმერ ბედუკაძე არათუ სასჯელისგან, არამედ პასუხისმგებლობისგანაც სრულად გაათავისუფლა, რასაც საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ამ გადაწყვეტილების მიღების უფლებას მთავარ პროკურორს მოქმედი საპროცესო კოდექსი ანიჭებდა, კანონში შესატანი ცვლილებებით კი მსგავსი ფაქტი იკრძალება!“

აქვე ცოტა გაუგებარია იუსტიციის მინისტრისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას პოზიცია — ორივე ქალბატონი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ საპროცესო შეთანხმების დადება-არდადების ამოსავალი წერტილი თანხის გადახდა აღარ იქნება, არადა საპროცესო შეთანხმების არსი თავისუფლების ყიდვაა — მსჯავრდებულის რეალური სასჯელი ხომ სწორედ იმის მიხედვით მცირდება, თუ რა ოდენობის თანხას გადაიხდის?! იმავდროულად, მოსამართლეს იმის არც დრო აქვს და არც ხალისი, ყველა წვრილმანი საქმე, სადაც საპროცესოს გაფორმება მარტივად და უმტკივნეულოდ შეიძლება, სასამართლოში არჩიოს.

„პატარა და უმნიშვნელო სისხლის სამართლის საქმეები მოსამართლემდე არ უნდა მივიდეს. ამისთვის საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ძალიან გვჭირდება. ბრალდებულს საპროცესო გარიგება ბევრ საქმეში ხელს აძლევს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ფულის სანაცვლოდ“, — აცხადებს **თეა წულუკიანი**. მაშ, რის სანაცვლოდ უნდა შედგეს საპროცესო გარიგება? ფასადურია თუ არა ყველაფერი, რის გათვალისწინებასაც ახალი კანონი ითხოვს — პიროვნული თვისებები, ნასამართლობა და ა.შ? რა არის კანონის მიღების რეალური მიზანი — საპროცესო გარიგებების რაოდენობის შემცირება და საგანგაშო სტატისტიკის გამოსწორება?! ლევან ალაფიშვილი კვლავ ლოგიკურ დასკვნას აკეთებს და აცხადებს, რომ ამ მავნე პრაქტიკის რეალური პრობლემა კანონზე მეტად აღსრულებაში ანუ პროკურატურაშია.

„ბიოს“ შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული გუგა დ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 0,1962 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა კანაბინომიმეტურად მოქმედ ქიმიურ ნაერთთა კლასს მიეკუთვნება.

გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1975 წელს დაბადებული შენგელი პ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით მარნეულის რაიონში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 12 შეკვრად დაფასოებული 36,5789 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 8,88191 გრ ჰეროინს შეიცავს. გამოძიებამ დაადგინა, რომ შენგელი პ-მ ნარკოტიკი აზერბაიჯანში შეიძინა და საქართველოში უკანონოდ შემოიტანა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

შსს-მ მკვლელობის ფაქტი გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი ჯიმშერ ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ჯიმშერ ა-მ მიმდინარე წლის 1 ივნისს, ღამით, თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეუღლეს – 1967 წელს დაბადებულ ლუდა გ-ს ცივი იარაღით გულმკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი მიყენებული მძიმე ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს ხარაგაულის რაიონში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ევროკავშირში გაწევრიანების გზა მაპ-ზე გადის?!

შტეფან ფულე: „საქართველოში ევროპული იდეებისა და ფასეულობების მხარდაჭერა მაღალია!“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე, გერმანულ გამოცემა „ველტთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ევროკავშირის წევრები უნდა გახდნენ. მისივე თქმით, ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა, რეფორმების გატარების კუთხით, აღმოსავლეთ ევროპის ამ ქვეყნებისთვის, შესაძლოა, საუკეთესო სტიმულად იქცეს. ამასთან, ფულე ამბობს, რომ, თუ ევროკავშირი სერიოზულად ისწრაფვის აღმოსავლეთ ევროპაში ტრანსფორმაციისკენ, უნდა გამოიყენოს ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს გაფართოებას. გერმანულ გამოცემასთან საუბრისას, ევროკომისარმა განაცხადა, რომ საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში ევროპული იდეებისა და ფასეულობების მხარდაჭერა მაღალია.

მანამდე, ევროკომისიის პრეზიდენტმა **ჟოზე მანუელ ბაროზომ** ბრიუსელში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე აღნიშნა: **„ამ ეტაპზე საქართველოს ევროკავშირის წევრობას ვერ, მაგრამ მაქსიმალურ დაახლოებას ვთავაზობთ. ეს სტანდარტული კი არა, ეკონომიკური ინტეგრირებისა და პოლიტიკური ასოცირების ხელშეკრულებაა — სრული წვდომა მსოფლიოში ყველაზე დიდ, ევროპის ბაზარზე. საქართველო პატარა ქვეყანაა, შესაბამისად, ქართული ბაზარი შეზღუდულია. ამ ფონზე, მცირე თუ მსხვილი ბიზნესისთვის საქართველოში უმნიშვნელოვანესია, წვდომა ჰქონდეს მსოფლიოში ყველაზე დიდ ბაზართან. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი რამ თქვენზეა დამოკიდებული, ვინაიდან ეს ასევე გულისხმობს თქვენი ეკონომიკის მოდერნიზაციას, რათა თქვენი კომპანიები უფრო კონკურენტუნარიანნი გახდნენ... საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიეთ უკანასკნელი წლების განმავლობაში, გქონდათ ძალიან მაღალი მიზნები დასახული, რასაც აღწევდით და, თუ არ იქნება რთული პოლიტიკური მოვლენები, რაღაც სხვა გართულებები, დარწმუნებული ვარ, საქართველო შეძლებს ეკონომიკური პროგრესის გაუმჯობესებას“.**

ბაროზო გარანტიას აძლევს ქართველ ხალხს, რომ გარედან ვერავინ ჩაერევა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაში.

რა ვადებშია შესაძლებელი ევროკავშირში გაწევრიანება და რა გავლენას ახდენს ამაზე ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი? — „ვერსიამ“ ამ კითხვით ევროინტეგრაციის საკითხების ექსპერტს, **კახა გოგოლაშვილს** მიმართა.

„ევროკავშირში დღესვე გაწევრიანებაზე საუბარი არ არის, მაგრამ შტეფან ფულე ამბობს, რომ საქართველო, ადრე თუ გვიან, საერთო ევროპული ოჯახის წევრი უნდა გახდეს. ბაროზოს განცხადებასაც განსხვავებული ინტერპრეტაცია მოჰყვა. თავისთავად, კარგია, რომ მაღალი დონის ევროპელი პოლიტიკოსები ამასთან დაკავშირებით პოზიციას ღიად გამოხატავენ. ვიცით, საქართველო თავის დროზე ევროკავშირის წევრი გახდება, მაგრამ სახეზეა ევროჩინოვნიკის ხმამაღალი განცხადება, რომელსაც ევროპული სახელმწიფოების გარკვეული უკმაყოფილება სდევს. ანუ, ნებისმიერი ასეთი განცხადება მათ გაღიზიანებას იწვევს, ვინც ამ ეტაპზე ევროკავშირში ახალი წევრების მიღების მომხრე არაა. ჩვენნაირი ქვეყნების მიღებას ისინი გარკვეულ საფრთხედ აღიქვამენ, რადგან მაგალითად, 2004 წელს, ევროკავშირში ისეთი ქვეყნები გაერთიანდა, რომლებიც ამისთვის მზად არ იყვნენ... შტეფან ფულეს განცხადება ამგვარად შეიძლება ავხსნათ: ჯერ ერთი, ევროკავშირის ეს კომისია მუშაობას ასრულებს და მიდის ქვეყნიდან, ამიტომ უფრო ღიად აფიქსირებს პოზიციას და ნაკლებად ითვალისწინებს იმ შესაძლო რეაქციას, რაც შეიძლება, ამან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში გამოიწვიოს. მეორეც, ბებერ კონტინენტზე მიღებული აზრია, რომ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი“.

რაც შეეხება უელსის სამიტზე მაპ-ის შესაძლო მიღებას და ამ პროცესის ზემოქმედებას ევროკავშირში ინტეგრაციაზე, კახა გოგოლაშვილი ამბობს, რომ მაპ-ი და ევროკავშირი ორი განსხვავებული მიმართულება და, ამასთან, ძალიან დიდი ურთიერთგავლენაა: **„თუ ნატო-ს ქვეყნები საქართველოს მაპ-ს მიანიჭებენ, ეს ძალიან დიდ შანსს აძლევს ქვეყანას, დაჩქარდეს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი. ნატო-ს წევრობა, თავისთავად, ქვეყნისგან დემოკრატიის მაღალ დონეზე განხორციელებას მოითხოვს, რაც ასევე ევროკავშირში გაწევრიანებისთვისაც აუცილებელია, ამიტომ ნატო-ში ინტეგრაცია ძალიან მნიშვნელოვანია, მისი წევრები არ არიან ევროკავშირის მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებსაც, თავის დროზე, არ უნდოდათ ალიანსში შესვლა. ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მდგომი ქვეყანა, თავისთავად, ნატო-ში გასაწევრიანებლადაც ემზადება“.**

„უკრაინის არჩევნებმა ნაციონალები წაახალისა!“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

წინასაარჩევნო პროცესი აქტიურ ფაზაშია — ბოლო დღეებს თუ არ ჩავთვლით, კამპანია მშვიდად მიმდინარეობს. „ქართულმა საზოგადოებამ ინტერესის რესურსის დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, 2012 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებში და შემდეგ, საპრეზიდენტოზე დახარჯა“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე. მისივე შეფასებით, ქვეყანა ერთპარტიული ხელისუფლებისკენ მიდის, მაგრამ მოსახლეობას არც ძალა აქვს და არც — შემართება, ამას შეეწინააღმდეგოს.

სოსო ცინცაძის განცხადებით, ხალხმა საარჩევნო ინტერესი დაკარგა

— ამ ერთპარტიული მმართველობისადმი პროტესტის ერთადერთი ფორმა საარჩევნო უბნებზე მიმსვლელთა რაოდენობის ნაკლებობა იქნება, რაც მმართველ პარტიას აწყობს კიდეც — ჩინოვნიკები არჩევნებზე თავიანთი ოჯახის წევრებით მივლენ და... თბილისის მერი „ოცნების“ კანდიდატი გახდება. რაიონებშიც, დაახლოებით, ასეთი მდგომარეობაა.

მართალია, თვალშისაცემი დარღვევები არაა, მაგრამ საარჩევნო კოდექსში გარკვეული დარღვევები არის, რაზეც საუბარი დაგვიანებულია. საერთოდ, როცა კოდექსი უსამართლოა, სამართლიან არჩევნებზე საუბარი ხელოვნურია, მაგრამ რას ვიზამთ: გვაქვს ის კოდექსი, რომელიც გვაქვს და ისეთივე არჩევნები გვექნება, რის საშუალებასაც კოდექსი იძლევა.

– ბატონო სოსო, ყურადღებას ერთპარტიულ მმართველობაზე ამახვილებთ მაშინ, როცა არსებობს ნაციონალური მოძრაობა, ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გაერთიანება, არასაპარლამენტო ოპოზიცია, ლეიბორისტული პარტია...

– ნაციონალურ მოძრაობას თავისი მყარი ელექტორატი ჰყავს, რომელიც არ იზრდება და მინიმალური ტემპებით მცირდება. გარდა ამისა, ნაციონალების მომხრეებმა, უკრაინის არჩევნებით და პოროშენკოს განცხადებით, ქართველი მრჩეველი თუ მრჩევლები მეყოლებაო, ფსიქოლოგიური სტიმული მიიღეს... რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ ამბიციები, ეს „ვოჟდიზმი“ ბელადომანია ვერ დაძლია და მძიმეწონოსანი ნინო ბურჯანაძის გვერდით არ გაერთიანდა. ევროპა და აშშ პოროშენკოს აქტივში უთვლის, რომ შეუძლია, მოლაპარაკება რუსეთთანაც აწარმოოს და დასავლეთთანაც. ეს ფაქტორი კი ნინო ბურჯანაძეს რატომღაც მინუსში ეთვლება, რადგან მოსკოვთან მოლაპარაკება ძალუძს, ესე იგი, პრორუსული ძალა ყოფილა... ეს ტრადიციული დაქსაქსულობა წყალს სახელისუფლებო პარტიის წისქვილზე ასხამს.

— მოახდენს თუ არა არჩევნების შედეგები გავლენას ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე?

— არ მგონია, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა რამემ შეცვალოს. იყო პავლე და მოვიდა სავლეო — ასეთი ვითარება გვექნება. არც იმას ველი, ნარმანიამ თავისი პარტიული მიკერძოება დაივიწყოს და მეურნე მერი გახდეს. მეურნე მერი თბილისს არასოდეს ჰყოლია და, როგორც ჩანს, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არც ეყოლება. ნარმანიაც ისეთივე პარტიული მერი იქნება, როგორიც გიგი უგულავა იყო... ისიც, პრობლემებს, რასაც ყოველდღე ვაწყდებით, გვერდს მორცხვად უვლის, თუნდაც, ყბადაღებული „სითი პარკი“, მაწანწალა ძაღლების თემა... გავიხსენოთ. შეგნებულად ისეთ პრობლემებს ვასახელებ, რომლებზეც ვერავინ იტყვის, ბევრი დრო, დიდი თანხა და რესურსი სჭირდებაო. ხომ არ ვამბობ, უმუშევრობა უცებ შეამცირონ-მეთქი? დასახელებული პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

ჩვენ ევროკავშირისკენ მივდივართ, ასოცირების ხელშეკრულებას ხელს ვაწერთ, მაგრამ თბილისში პროსპექტი არ დარჩენილა, სადაც სტიქიური გარევაჭრობა არ არის. დღეს გარევაჭრობის გაცილებით ფართო ქსელია, ვიდრე 3-4 წლის წინ იყო. „დელისზე“, სადაც ვცხოვრობ, ორი-სამი წლის წინ ასეთი მდგომარეობა არ იყო, დღეს მტვერსა და სიბინძურეში იყიდება ხილი, რძის ნაწარმი... თბილისზე, როგორც ევროპულ ქალაქზე ლაპარაკი ზღაპარია. ჩვენი ხელისუფლების მთავარ პრობლემად კი ის იქცა, ვინ მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებაზე.

ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ტახტიდან გადადგა

ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი გადადგა და ტახტი ვაჟიშვილს დაუთმო. **„მისმა უდიდებულესობა მეფე ხუან კარლოსმა მაცნობა, რომ გადაწყვიტა, ტახტიდან გადადგეს“,** – განაცხადა ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა მარიანო რახოიმ, რომელმაც ხუან კარლოსს ქვეყნის ინტერესებისათვის „დაუღალავი მოღვაწე“ უწოდა. გაზეთ „ელ პაისის“ მონაცემებით, ესპანელი მონარქის გადადგომის მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაა — შარშან მეფემ რამდენიმე მძიმე ოპერაცია გადაიტანა.

ხუან კარლოსი ტახტზე 37 წლის ასაკში ავიდა, რეჟიმის დამხობის შემდეგ. ტახტის მემკვიდრედ იგი თვით გენერალსიმუსმა ფრანკომ დანიშნა. ხუან კარლოსი 39 წელი მართავდა ქვეყანას.

ბოლო წლებში მის სახელს რამდენიმე ხმაურიანი სკანდალი დაუკავშირდა. ერთ-ერთი მისი სიძის და ქალიშვილის გახმაურებული ფულადი მაქინაციები იყო, რაც სასამართლომდეც კი მივიდა, თუმცა პროკურატურამ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო ბრალდება არასწორად ჩათვალა.

ხუან კარლოსს 76 წელი შეუსრულდა. საინტერესოა, რომ ამ წლის დასაწყისში ესპანეთში ჩატარებული გამოკითხვით, მოქალაქეთა 62%-მა დადებითი პასუხი გასცა შეკითხვას **„თანახმა ხართ თუ არა, რომ მეფე ტახტიდან გადადგეს?“**

ესპანეთის ახალი მეფე ხუან კარლოსის 46 წლის ვაჟი, პრინცი ფილიპე უნდა გახდეს. როგორც ესპანეთის ოფიციალური წარმომადგენელი, ის მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ეწვია, მათ შორის რუსეთშიც იყო, სადაც ესპანეთის კულტურული ცენტრი გახსნა. პრინც ფილიპს დამთავრებული აქვს სარაგოსას სამხედრო აკადემია, სწავლობდა იურისპრუდენციას და ეკონომიკას მადრიდის ავტონომიურ უნივერსიტეტში, მიღებული აქვს ამერიკის ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის წოდება, ყავს ორი ქალიშვილი.

„ინტერპრესნიუსი“

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	2		4					
		5			3		8	
7					8	1	5	
1				7	6	8		
			3		2			
		4	5	8				9
	8	7	2					3
	6		8			9		
					4		7	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8		1				6		
9				7	2		4	
					6	7		
4		2				5		
	5						9	
		7				4		3
		9	8					
	3		7	1				6
		5				3		4

ᲠᲗᲣᲚᲘ

		7		6				
3		5	9					
			2	8				4
	9	6						8
5		4				1		3
1						7	9	
4				3	2			
					8	3		7
				7		4		

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

		8	7	6				9
2				9			5	4
		9			2			7
							9	1
1		6				8		3
9	4							
8			9			7		
6	1			3				5
7				5	6	1		

ცალკული კომპიუტერული თამაშით

ორმა ბელგიელმა — ვერნერ დიუპონმა და ბარტ გერეტსმა შექმნეს ტუალეტი, სადაც ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პარალელურად, კომპიუტერული თამაშით გართობის საშუალებაც იქნება. საპირფარეშოს კაბინაში შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე თამაში, მაგალითად, „სტუმრები კოსმოსიდან“ ან „თხილამურები“, ანდა სულაც ხმა მისცეთ აშშ-ს პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატს. კაბინები ორადგილიანია, რათა მომხმარებელმა ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშიც შეძლოს. ახალი მოწყობილობის პრინციპი ისაა, რომ უნიტაზის ძირზე გადამცემებია დამაგრებული, რომელიც სითხის ნაკადზე რეაგირებს და ინფორმაციას კომპიუტერს გადასცემს. მოწყობილობის ნაკლი ისაა, რომ ამ სათამაშო ტუალეტის შეფასება მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ, მსგავსი რამ ქალებისთვის მოუხერხებელი იქნებაო, — აცხადებენ ავტორები.

„ფულის წვიმა“ ინდონეზიაში

ბიზნესმენმა ამ აზიური ქვეყნიდან — ტუნგ ვარინჯინმა თვითმფრინავიდან, რომელიც დედაქალაქ ჯაკარტასთან ახლოს მიფრინავდა, 100 მილიონი რუპია (დაახლოებით 11 ათასი დოლარი) გადაყარა. ბიზნესმენის თქმით, ეს „ფულის წვიმა“ მარკეტინგის შესახებ მისი ახალი წიგნის საუკეთესო რეკლამა იყო. ვიდრე ტუნგის თვითმფრინავი ჰაერში ოთხ წრეს გააკეთებდა, ქვემოთ მდებარე მინდორზე დიდი ჭყლეტა გაიმართა. ინდონეზიელები, რომლებმაც ბიზნესმენის განზრახვის შესახებ შეიტყვეს, ერთმანეთს არ აცდიდნენ გადაყრილი ფულის აკრეფას. ამ უჩვეულო აქციის დროს რამდენიმე ადამიანი დაშავდა კიდევ. როგორც სარეკლამო „ტრიუკის“ ავტორი აცხადებს, „ფულის წვიმის“ მოწყობა დედაქალაქ ჯაკარტაში სურდა, მაგრამ სამართალდამცავებმა კატეგორიული უარი განუცხადეს.

ძაღლს ბაკალავრის ხარისხი მიანიჭეს

ერთი წლის ოქროსფერმა რეტრივერმა, სახელად „ზიიკემ“ ოჰაიოს ჩრდილოეთის უნივერსიტეტის დიპლომი მიიღო. უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტის, კენდალ ბეიკერის თქმით, ეს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა სასწავლო დაწესებულება დიპლომს ცხოველს ანიჭებს. „ზიიკემ“ ბაკალავრის სამეცნიერო ხარისხი ინვალიდებისა და მოხუცების მოვლის უნარ-ჩვევების ათვისებისთვის მიიღო — მას შეუძლია წაიღოს ინვალიდის ეტლი, გააღოს კარი და აიღოს დავარდნილი საგნები. ახალგაზრდა რეტრივერი ადგილობრივ ორგანიზაციას ეკუთვნის, რომელიც უფასოდ უგზავნის ოთხფეხა დამხმარეებს მათ, ვისაც ეს სჭირდება.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	8	3	5	4	9	2	1	7
7	4	1	6	3	2	8	9	5
2	5	9	7	1	8	6	4	3
3	2	6	1	8	5	9	7	4
1	9	8	2	7	4	5	3	6
5	7	4	9	6	3	1	8	2
4	3	5	8	2	1	7	6	9
9	1	7	4	5	6	3	2	8
8	6	2	3	9	7	4	5	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	5	1	8	9	4	3	2	7
4	3	9	2	5	7	6	1	8
8	2	7	6	3	1	9	5	4
3	1	6	4	2	8	7	9	5
7	9	8	5	1	6	2	4	3
5	4	2	9	7	3	1	8	6
2	7	5	3	8	9	4	6	1
1	8	4	7	6	2	5	3	9
9	6	3	1	4	5	8	7	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

5	1	4	9	8	7	6	3	2
3	9	8	2	5	6	1	4	7
7	2	6	4	3	1	5	9	8
2	3	7	1	9	8	4	6	5
9	8	5	6	4	3	7	2	1
6	4	1	7	2	5	3	8	9
1	7	9	8	6	4	2	5	3
8	6	3	5	1	2	9	7	4
4	5	2	3	7	9	8	1	6

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

1	6	4	2	3	9	8	7	5
9	8	5	1	7	6	4	3	2
7	3	2	4	8	5	6	1	9
3	2	1	6	9	8	5	4	7
8	5	9	3	4	7	1	2	6
6	4	7	5	2	1	9	8	3
2	1	3	9	6	4	7	5	8
4	9	8	7	5	3	2	6	1
5	7	6	8	1	2	3	9	4

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	9	8	7	4	3	1	6	5
1	7	6	8	5	9	4	3	2
5	4	3	2	1	6	9	8	7
3	6	2	5	9	8	7	1	4
9	1	7	6	2	4	8	5	3
8	5	4	3	7	1	2	9	6
7	3	1	4	8	5	6	2	9
6	2	9	1	3	7	5	4	8
4	8	5	9	6	2	3	7	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	7	4	8	1	2	5	3	6
6	5	3	9	7	4	2	8	1
2	8	1	3	5	6	9	7	4
1	9	2	7	8	5	6	4	3
3	6	8	4	2	1	7	5	9
5	4	7	6	3	9	1	2	8
8	3	9	5	6	7	4	1	2
7	2	6	1	4	3	8	9	5
4	1	5	2	9	8	3	6	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	8	9	6	5	4	3	2	1
6	5	2	3	9	1	4	8	7
4	3	1	2	7	8	9	5	6
5	2	4	7	3	9	1	6	8
1	9	6	8	4	5	2	7	3
8	7	3	1	2	6	5	9	4
3	6	8	5	1	2	7	4	9
2	4	7	9	8	3	6	1	5
9	1	5	4	6	7	8	3	2

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

7	8	5	3	2	6	4	1	9
2	1	3	4	9	7	6	8	5
9	6	4	1	5	8	2	3	7
3	9	8	6	4	5	7	2	1
4	7	6	2	3	1	9	5	8
1	5	2	8	7	9	3	6	4
8	2	1	7	6	4	5	9	3
6	4	9	5	1	3	8	7	2
5	3	7	9	8	2	1	4	6

მე-10 გვერდი: 1. კორდელია; 2. ობოლი; 3. დროზერა; 4. ლჰასა; 5. აქანდაზი; 6. ქსილოგრაფია; 7. ნაბუქოდონოსორი; 8. ილი; 9. ჰონორარი; 10. ლურსმანი; 11. რაკურსი; 12. კანიბალი; 13. სიმბიოზი; 14. ილორი; 15. პინოქიო; 16. პა; 17. ციგა; 18. ურა; 19. კარელია; 20. ავინიონი; 21. გლოლა; 22. პანდორა; 23. ამური; 24. როდოპი; 25. იოდი; 26. მარაკანა; 27. ურანია; 28. „ივეკო“; 29. მორიელი; 30. რკო; 31. ამფორა; 32. კორა; 33. ერბო; 34. ემი; 35. „კოლონი“; 36. გო; 37. ხამურაბი; 38. ანურია; 39. ბაკი; 40. ფია; 41. ნაი; 42. სრა; 43. „აეკი“; 44. „ფაუსტი“; 45. სილიო; 46. კარლო; 47. მიცა; 48. კლიჩკო; 49. ფორა; 50. არახამია; 51. ცრუ; 52. სნო; 53. სიო; 54. კარეკა; 55. კოჩი; 56. აირი; 57. რაე; 58. მერილ; 59. ტომ 60. უხა; 61. ოტიტი; 62. სკვაირი; 63. ალტი.

1. იატაკის დასაფენი სქელი ულპობი ქსოვილი
2.უფერული ან მოყვითალო ზეთოვანი სითხე
3.უნებლიე შეცდომა ნაწერში
4.ქართლის ერისთავი აბო თბილელის დროს
5. ერთგვარი რბილი ტყავი
6. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში
7.იტალიური სამზარეულოს ტრადიციული კერძი
8. საქონლის „სუფთა წონა“
9. ლითონზე შესრულებული გრავიურა
10.ქუთუთოს კიდეზე ამოსული ბეწვი
11. ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლი
12. სამურაბე ლამბაქი
13.საყვარლის ხარჯზე მცხოვრები მამაკაცი
14.კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი
15.საკურორტო სოფელი ონის რაიონში
16. იალქნის მისამაგრებელი ძელი
17.მარკესის „მარტოობის ... წელიწადი“
18. სქესის უქონლობა, დაუქორწინებლობა
19.გერმანული ბრენდი „... ტეილორი“
20. დათვის ნაშიერი
21. ქართული ვაზის ჯიში
22. პარკოსანი მცენარე
23. გასულ წელს ანუ ...
24. დიდი ფლამანდიელი ფერმწერი
25. პატარძლის თაქსაბურავი
26. ჰოლივუდის №1 პრინცესა
27. შვეიცარიელი მწერალი ... ჰესე
28.ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში
29. დროებით გაბატონებული გემოვნება
30. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
31.ჩანგლის შემცვლელი ჩხირები იაპონიაში
32. დიდი გარეული ფრინველი
33.ძროხის სუკის შემწვარი ნაჭერი
34.ესპანელი ფეხბურთელი ... ფაბრეგასი
35. იაპონეს მოსასხენიებელი სიტყვა იუდაიზმში
36. მთის თუთიყუში
37.სამაგიეროს გადახდა დამარცხებისათვის
38. ყავის სახესხვაობა
39. მტკნარი წყლის დელფინი
40.ხარე მიდამო
41.გარიჟრაჟის ბერძენი ქალღმერთი
42. რაიმესთან შეგუება, შეჩვევა
43. სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში
44. გაზაფხულის ყვავილი
45. გერმანელი რომანტიკოსი პოეტი
46.ბიბლიური პატრიარქი
47.დამუხტული ატომი
48.ფაკულტ. ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში
49. ძველბერძენთა სიმებიანი საკრავი
50.უხუცესთა საბჭო ძველ საბერძნეთში
51. უხეში მიტკალი
52. ავტორი რომანისა „ამერიკა“
53. გემების საშენებელი საწარმო
54. აღმოსავლეთი (გერმ.)
55. ბალახის ჩრდილი
56. აბზინდის არაყი
57. ფრანგი ფეხბურთელი ... დიარა
58. პოსეიდონის ვაჟი
59.ზღვისპირა კურორტი კრასნოდარის მხარეში
60. ქართული ფარმაცევტული კომპანია
61. ინგლისელი კომპოზიტორი
62. კავშირგაბმულობის დაწესებულება
63. ვაზების მწკრივი ვენახში
64. ავტომატური ელექტრომოწყობილობა
65. დათა თუთაშხიას და
66. ხარკი ნატურით, რომელსაც უხდიდნენ ციმბირელი ხალხები მეფის რუსეთს
67. მუსლიმთა წმინდა ქალაქი
68. შეჯიბრების დაწყების მომენტი
69. სოფელი ქარელის რაიონში
70.იტალიის ეროვნული ტელეარხი „... ენო“
71. ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი
72. სახელმწიფო ...-დ,ივუარი
73. სამხედრო ნადავლი
74. დაბალი და ფართო დივანი
75. ჭაობის მცენარე
76.საბჭოთა მულტსერიალი „...,, დამაცადე!“
77. ჰიტლერის ნაშრომი „... კამპფ“
78. ბიბლიური პერსონაჟი
79. „კიას“ ერთ-ერთი მოდელი
80. მონღოლი თავადი
81. ტროას მეფე პროამეს ქალიშვილი, წინასწარმეტყველი
82.საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული
83. ყაზახი პოეტი-განმანათლებელი ... კუნანბაევი
84. სვეტებიანი გალერეა, პორტიკი

ტეხასელმა საკუთარი დაკრძალვის კონკურსი მოიგო

უჩვეულო კონკურსი გაიმართა ტეხასში, რომელიც საკალათბურთო ქვედა ლიგის მატჩებს მიეძღვნა. ღონისძიების მთავარი სპონსორის — ადგილობრივი დამკრძალავი ბიუროს ინიციატივით, ამ უჩვეულო შეჯიბრში გამარჯვებულმა, მთავარი პრიზის სახით, მდიდრული დაკრძალვა მიიღო. კონკურსის მიმდინარეობისას, რომელზეც ბევრი მონაწილე განზრახ სამგლოვიარო კოსტუმში გამოწყობილი მივიდა, კონკურსანტები ერთმანეთს კუბოების წაღებაში, გამოსათხოვარი სიტყვის კითხვასა და მუმიფიკაციაშიც კი ეჯიბრებოდნენ. ამ მრავალფეროვანი წარმოდგენის გამარჯვებული ლატარიით გამოავლინეს და ის 60 წლის ტეხასელი, ელეინ ფალპსი აღმოჩნდა. ამ ასაკოვანმა ქალბატონმა, რომელმაც სხვადასხვა დაავადების გამო უკვე რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა, გარდაცვალების შემთხვევაში 10-ათასდოლარიანი დაკრძალვის უფლება მოიპოვა. პრიზი დამკრძალავი ბიუროსგან ასევე ითვალისწინებს კუბოსა და ადგილს სასაფლაოზეც. როგორც გამარჯვებული აცხადებს, ჯერ იმქვეყნად გამგზავრებას არ აპირებს, მაგრამ არც ჯილდოზე იტყვის უარს, მით უმეტეს, რომ პრიზის „მოქმედების ვადა“ შეზღუდული არ არის.

სუდოკუ

ადვილი

8	3			4	2	5	9	
		5					2	7
	1		8					
			7	8				
7								4
				9	1			
					6		5	
3	5					9		
	6	2	4	5			3	8

სტანდარტი

		4					5	
		8			4			
	5	1			9			7
2				8		5		3
5			1		3			6
8		3		4				2
4			5			3	6	
			4			1		
	7					2		

რთული

		9		6		4		8
			2	9				6
					4		1	
					3			2
	5		1	2	9		6	
3			8					
	3		5					
9				3	7			
6		4		8		3		

ექსპერტი

	1		2	8			3	
2			1			6		
		4	9				2	1
	6			2	9			
7								9
			8	6			1	
6	9				4	1		
		2			8			3
	4			9	2		8	

ახალშობილს მშობლები ერთ ევროდ ყიდდნენ

ახალგაზრდა წყვილმა გერმანიის ქალაქ უნტერალგაუდან ინტერნეტაუქციონზე გასაყიდად საკუთარი რვა თვის ბავშვი „გაიტანა“. პატარას სასტარტო ფასი მხოლოდ ერთი ევრო იყო. განცხადება საიტზე ორსაათნახევარი იყო განთავსებული, შემდეგი ტექსტით „გთავაზობთ თითქმის ახალ ბავშვს, რომელიც ჩემთვის მეტად ხმაურიანი გამოდგა. მამრობითი სქესის. ეტევა ბავშვებისთვის განკუთვნილ ზურგჩანთაში ან საბავშვო ეტლში. არასერიოზული წინადადებებით ნუ შეგვაწუხებთ“. იმ პერიოდის განმავლობაში, რაც განცხადება იყო საიტზე, ავტორებს არც ერთი შეთავაზება არ მიუღიათ, სამაგიეროდ, პოლიციაში დარეკა ათეულობით აღშფოთებულმა ადამიანთა. საიტის თანამშრომლების დახმარებით, პოლიციამ მალევე მოძებნა ბავშვის მშობლები. 23 წლის დედა და 24 წლის მამა დაკავებულები არიან. პოლიციაში ქალმა განაცხადა, რომ უბრალოდ იხუმრა, თუმცა, ამის მიუხედავად, ცოლ-ქმარს ფსიქიატრიულ გამოკვლევას ჩაუტარებენ, შესაძლოა, მშობლის უფლებებიც ჩამოართვან და პატარა გააშვილონ, რომელიც ამჟამად ბავშვთა საავადმყოფოშია.

ყველაზე ლამაზი პოლიტიკოსები მსოფლიოში

ექსპერტებმა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პოლიტიკოსების რეიტინგი შეადგინეს. სიას სათავეში იტალიელი ლამაზმანი, 38 წლის მარა კარფანია ჩაუდგა — წარსულში ფოტომოდელი და ტელეწამყვანი, სილვიო ბერლუსკონის მთავრობაში თანაბარი შესაძლებლობების საკითხების მინისტრის პოსტზე იყო. კარფანია ექსპრემიერის პარტია „ფორცა იტალიას“ წევრია და აქვს იურიდიული განათლება.
რეიტინგში მეორე ადგილზე მექსიკის პრეზიდენტი ენრიკე პენია ნიეტო აღმოჩნდა და მის გარდა ტოპ-ათეულში კიდევ ორი პოლიტიკოსი შევიდა ევროპიდან: ალინა კაბაევა და ჰანს ლინდე: ოლიმპიური ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში კაბაევა რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატია პუტინის „ედინაია როსიადან“; ჰანს ლინდე კი შვედეთის რიკსდაგის (პარლამენტის) დეპუტატია მემარცხენეთა პარტიიდან და სპეციალური წარმომადგენელი საგარეო საკითხებში. 35 წლის ლინდე ერთ-ერთი ახალგაზრდა პოლიტიკოსია შვედეთში.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია
ჩვენ
ათასობით
ალიანსების
ნებას
www.cesko.ge